საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 62 ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი, 1918 წ. № 62

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

გულ-დათუთქული მშობლები: ანნა ივლიანეს ასული და მელხისედეკ (ბუხუტი) აპოლონის ძე მიქელაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი, ერთად ერთი ნუგეში შვილი

ნინო (ნინოჩკა)

გარდაიცვალა ამა ოქტომბრის 8-ს, დაკრძალვა მოხდება დღეს ნაშუადღევის 4 [illegible] ლერმონტოვის ქუჩა № 19.

სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. ნ. დ. ლევიცკის დირექცია.

ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს 1918 წ.

ოპ. 4 მოქმ. **„დუბროვსკი“** მუსიკა ნაპრავნიკისა

მოქმედნი პირნი: შვამბერგი, იანსა, ოვსიანიკოვისა, კანშინი, ბალაბანი, ზუბარევი, ისეცკი, მოლჩანოვი, დემიანენკო, ეზროვი, კურბატოვი. დირიჟორი სამოსუდი. დასაწყისი 8 საათზე.
11 ოქტომბერს „პიკოვაია დამა“ 12 „მანონ“.

მე II-ე წელ. **ვაჟთა და ქალთა გიმნაზია** მე II-ე წელ.

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

1917/18 წელს გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავებია პირველად.

50—36 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

განცხადება

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს. (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა, ლიტერატ. და საქართ. ისტ.) 2. ბუნების მეტყველებისა და მათემატიკისა.

ცნობად: 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიან ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტის პირველ კურსზე ოცი სტიპენდიატის ადგილია თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტ. კანცელარიაში, დიდი მთავრის ქუჩა (Великн. ул.) № 91. 6—5

მომხმარებელ **„დახმარებას“** საზოგადოების
გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ წევრთა

საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, ოქტომბრის 13-ს (ახალი სტილით) დილის სწორედ 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში. კრების წეს-რიგი: 1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ; 2. 1917 წ. ანგარიში და მოგების განაწილება; 3. 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვა; 4. მორიგი საქმეები (სხვათა შორის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა); 5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი. კრებაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ იმათ, ვისაც, თანახმად 1918 წ. აპრილის 4-ის კრების დადგენილებისა, წარმოდგენილი აქვთ 55 მანეთი საწევრო გადასახადი და პაის ფული და წევრებად მიღებულნი არიან გამგეობის მიერ. კრება როგორც მეორედ მოწვეული, კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა. უწყებები არ დაიგზავნება. 1917 წლის ანგარიში ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო არ იბეჭდება, მაგრამ გამოფენილია საზოგადოების ორსავე მაღაზიაში და საზოგადოების წევრებს მუდამ შეუძლიანთ მისი წინასწარი განხილვა, აგრეთვე ყოველგვარ ცნობების და საბუთების და წიგნების წარდგენის მოთხოვნა გამგეობის კონტორაში. 855 1—2

გერმანული რეალური გიმნაზია

სამმართველო დაწესებულებათა ყრმათათვის, ორივე სქესისა, აცხადებს, რომ მეცადინეობა იქნება ნემეცურ ენაზე, სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს. მოწვეულნი არიან გამოცდილი მასწავლებლები გერმანიიდან. ნემეცური ენის მცოდნე მოწაფეები მიიღებიან მე 5 და მე-6 კლასში. თხოვნები მიიღება 9-დან 12 საათამდე, ინსპექტორთან, პეტრე-პავლეს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში, კიროჩნის ქუჩა, № 25. მიღება სწარმოებს მოწმობების წარმოდგენით სხვა სამასწავლებლო დაწესებულებიდან. სწავლის ფასი—პირველ ნახევარ წლისა—125 მან. 858 1—1

თუ გიყვარს ქართული **თეატრი**,
თუ გიყვარს ქართ. **უნივერსიტეტი**
შეიძინე ქართ. ლატარიის ბილეთი!
— 25 მან. ღირს —
ერთმა ვინმემ ხომ უნდა მოიგოს?
შეიძლება შენ მოიგო!
პირველი მოგება
ასი ათასი მანეთია!!
სულ იგებს **2393** ბილეთი.
მოგებაში დარიგდება
ნახევარი მილიონი მან.
[illegible]
საცა გამოკრულია!
412 60—20

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4\frac{1}{2}$—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

ებრაელთა კონფერენციის

მომწვევი კომისია ტფილისის ებრაელთა ნაციონალურ საბჭოსთან ამით აცხადებს, რომ კონფერენციის გახსნა გადადებულია ოქტომბრის 15-სთვის. ამ ვადისთვის დელეგატები უნდა გამოცხადდნენ წერილობითი მანდატებით. ტფილისი, ბელგიის ქ., 8. ტფ. ებრაელთა ნაციონალური საბჭო. 1—1

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისა.

24 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 103.

ყოფილის კავკავიის ფრონტის სამხედრო მისვლა-მოსვლის სამმართველოს საგზაო ნაწილის საქმეთა საბოლოო ლიკვიდაციის მოსახდენად და ამ ნაწილის ყოფილის მოსამსახურეებისათვის ყველა სათანადო საბუთის ქაღალდების დასამზადებლად და მისაცემად, როგორადაც: ატესტატების, საკრედიტო მოწმობების, ნამსახურობის ნუსხების, გადაცემის ფურცლების, სამგზავრო ლიტერიანის წინადადებების, მარშრუტების და სხ. ნება დავრთე ხსენებულის ნაწილის უფროსს ინჟენერს რაციბორსკის ამ მუშაობისათვის მიიწვიოს 1 ენკენისთვიდან ხუთი კაცი ყოფილ მოსამსახურე პირთაგან, რომელთა შემწეობით ეკისრება მას გაათავოს ყველა საქმე და გადასცეს არქივს არა უგვიანეს 1 ღვინობისთვის 1918 წ.

სამუშაოდ მოწვეულის პირების და თვით ინჟენერის რაციბორკის გასამჯელო უნდა გაღებულ იქნას სამხედრო სამინისტროს კრე-

დიტიდგან იმ თვიურის ჯამაგირების მიხედვით, რომელთაც აქ მოსამსახურეთ ეძლეოდათ ყოფილს საგზაო ნაწილში.

24 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 104.

დათხოვნილ იქნენ: სამხედრო უწყების ცენტრალურ სამმართველოს ხელ-ახლად მოწყობის გამო, ახალის შტატების თანახმად გადამწერნი: ნაკაშიძე, კაზაჩკინი, კელენჯერიძე და ყულენტი, ტელეფონისტები პელენისი და კირშენბაუმი, მორბედები ცვიკლისი და [illegible] საწერ მანქანაზედ მომუშავე ქალი

[illegible]

ბიდგან საკვებს სურსათს იმაზედ მეტს, რაც ნამდვილად სჭირდებათ და სრულიად არ უწევენ ანგარიშს კაცთა ნამდვილს რაოდენობას; ამნაირად ჯარის ერთმა ნაწილმა მოითხოვა და მიიღო ათის დღის განმავლობაში 1-დგან 10 ავვისტომდე 64 ფუთი შაქარი მაშინ, როდესაც თვეში იმას ერგებოდა კაცთა რიცხვის მიხედვით მხოლოდ 22 ფუთი.

რესპუბლიკის ჯარების ყველა დაზოგილ საკვებ-სურსათის აღსარიცხავად ჩემ მიერ დანიშნულია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს შეამოწმოს მოთხოვნების წესიერება; ყოველივე ზედმეტად წაღებული აღნიშნული იქნება საანგარიშო ფურცლებით ჩასარიცხავად. ვუბრძანებ ჯარის ნაწილებისა და სამმართველთბის უფროსებს, ამიერიდან სასტიკად ადევნონ თვალყური, რომ აღარავინ მოითხოვოს და არ მიიღოს საკვები სურსათი იმაზედ მეტი, რაც კაცთა რიცხვის მიხედვით ეკუთვნებათ საჭიროებისამებრ. თუ ეს დებულება დარღვეულ იქნა და არ აღმოჩნდა ზედმეტად მიღებული ნაწილი საწყობებში, დამნაშავენი კანონისამებრ პასუხის-გებაში იქნებიან მიცემულნი სახაზინო ქონების გაფლანგვისათვის.

24 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 106.

ნებას ვრთავ უფასოდ ეძლიოს ჯარის კაცის ულუფა საქართველოს ნაწილების და დაწესებულების შტატის მოსამსახურე ოფიცერებს, მოხელეებს და სამღვდელოებას.

1. ყოველ-გაუგებრობისა და უსიამოვნების თავიდგან ასაცილებლად ვბრძანებ, რომ სრული ჯარის კაცის ულუფა მიეცეს ზემოთ დასახელებულ პირთ, მხოლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება სასურსათო საწყობების მდგომარეობის და ჯარის სურსათის უზრუნველყოფის მიხედვით.

2. თუ ულუფა სრულად ვერ მიეცემა ან მიეცემა შემოკლებით, შემდეგში ამა-თუ-იმ დღეს დაკლებულ ულუფის მოთხოვნა სანოვაგით, ან მისის ღირებულებისა ფულად არ შეიძლება.

3. ულუფისთვის მიღებული სურსათ-სანოვაგე აღნიშნულ უნდა იქმნეს ჯარის ნაწილის შესაფერ საანგარიშო ფურცლებში, რომლებშიაც ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები, რამდენი ოფიცერი ან მოხელე საზრდოობდა ამა თუ იმ ნაწილში. ყოველ საანგარიშო ფურცელს

ვასამართლებელ საბუთად დართული უნდა ჰქონდეს ნაწილის უფროსის მიერ ხელ-მოწერილი და მის პასუხის-მგებლობით შედგენილი სია ოფიცრებისა და მოხელეებისა, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იყოს ნაწილში გაცემულ ბრძანებათა თანახმად დრო და რიცხვი შემატებულ ან წასულ პირებისა.

4. დასასვენებლად წასულთ ულუფა არ მიეცემათ.

ეს ბრძანება ძალაში შედის ამა წლის ენკენისთვის 25-დგან.

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალ-მანორი გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 10 ოქტომბერი.

საქართველო—დემოკრატიული ოაზისია. დემოკრატიის ბატონობას ვერ ურიგდება ვერც შინაური და ვერც გარეშე რეაქციონერი. ცხადია: მათი სწრაფვაა ძირს დასცენ საქართ. დემოკრატია და ვინაიდან საქ. დემოკრატიის ციხე-სიმაგრე საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკაა, ამიტომაც ყველა მტერს და ორგულს მასზე მიაქვს იერიში. საქართველოს რესპუბლიკის გარეშე და შინაური მტერი, ყველგან, შემთხვევას არ უშვებს, რომ მისკენ „საკუთარი ხელით დაზელილი“ ტალახი არ ესროლოს, შვილდისარს არ მოსწიოს და მუქარითაც არ გაგვიმასპინძლდეს.

ყველამ იცის, რომ სამხრეთი რუსეთი ამ უკანასკნელ ხანაში ცხარე ბრძოლის ასპარეზად იყო გადაქცეული. ბალშევიკები მთელი თავისი სისასტიკით ებრძოდნენ იქ მომქმედ ჯარის ნაწილებს, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი კორნილოვი. ბოლშევიკებმა შესძლეს მისი განადგურება, მაგრამ მოხალისეთა რაზმები მაინც განაგრძობდენ ბრძოლას და ეს ბრძოლა დღესაც არაა დასრულებული. ამ ბოლო დროს ყუბანის ოლქში მოქმედებდა ეგრედ წოდებული მოხალისეთა ჯარი, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალი ალექსეევი. მოხალისეთა მიზანია: ბოლშევიზმის ლიკვიდაცია.

ბოლშევიკებთან ბრძოლამ მრავალ მოხალიეთ მოუყარა თავი და ამგვარად საგრძნობელი ძალა შეიქნა. დაუშვათ, რომ პირველათ ამ მოხალისეთა ჯარს ჰქონდა მხოლოდ იდეიური ხასიათი. აშკარაა შემდეგში ბოლშევიკებთან საწინააღმდეგო ბრძოლამ შემოიკრიბა კონტრ-რევოლიუციონერები და რეაქციონერები. ამაში ექვს შეტანა ძნელია. ამგვარად გენ. ალექსეევის მოხალისეთა ჯარი, მიუხედავათ იმისა, რომ ის ისახავს მიზნად ვითომდა რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას, გახდა რეაქციის ბუდეთ. ცარიელი დაპირება და „კეთილი“ მიზანი გენ. ალექსეევისა ჩვენ არაფერს გვეუბნება, მით უმეტეს, რომ ამ ჯარის მოქმედების რაიონის მეზობელი სოჭის ოლქი აშკარათ ახასიათებს მას კონტრ-რევოლიუციონურ და რეაქციონურ ძალად. სოჭის ოლქის ყველა სოციალისტური პარტია, მუშათა საბჭო და მოქალაქეთა კრებები ერთხმად ააშკარავებენ მას, როგორც რეაქციონერს და ერთხმადვე სთხოვენ საქართველოს დემოკრატიულ რესპულიკას დაიცავს სოჭის ოლქი კონტრ-რევოლიუციონურ შემოსევისაგან. სოჭის ოლქის დემოკრატია პროტესტით ხვდება გენ. ალექსეევს. ეს ფაქტია და როდესაც ქალაქ სოჭის თვითმართველობამ მარჯვენა ხმების შემწეობით გადასწყვიტა, თავის სხდომაზე მოეწვიათ ალექსეევი,—დემოკრატიულ ფრაქციას მეტი არა დარჩენოდა რა, რომ ეს სხდომა სასტიკი პროტესტის ნიშნათ დემონსტრატიულათ დაეტოვებინა. ცხადზე უცხადესია: ჩვენს მეზობლათ სდგას კონტრ-რევოლიუციონური ძალა, რომელიც შემთხვევას არ გაუშვებს შემოუტიოს ათვალწუნებულ დემოკრატიულ ოაზის საქართველოს რესპუბლიკას. ჩვენ შეგვიძლია მოვისმინოთ გენერალ ალექსეევის ტკბილი სიტყვები, რომ მისი ძლიერი სურვილია კეთილი განწყობილება იქონიოს საქართველოსთან. ჩვენ მოვისმინეთ ბ. გენერალ ფონ-კრეისის განმარტება, რომ გენ. ალექსეევი ნეიტრალური ძალაა და აქეთ არ გამოიწვევს. მაინც მუქარის ხმები მოისმის რაღაც და ეს კი საყურადღებოა. ცხადია ჩვენ მზათ უნდა ვიყვნეთ და ანგარიშს უნდა უწევდეთ მომავალ ახალ საფრთხეს. ყოველ შემთხვევაში ერთი კი ნათელია: ჩვენს საზღვრებთან სდგას ძალა, რომლისაგან მოსალოდნელია ჩვენი საზღვრების გადმოლახვა და შიგნით შემოჭრა. ამას უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოთ. ჩვენს საზღვრებს ჩვენ დავიცავთ და არავის ნებას არ მივცემთ, რომ მან ჩვენს ტერიტორიაზე ითარეშოს.

ჩვენი საზღვრების დაცვით ჩვენ ვიცავთ ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს დემოკრატიულ წესწყობილებას და რეაქციონური ანუ კონტრ-რევოლიუციონური ძალა საიდანაც უნდა მოდიოდეს ის, შეხვდება ქართველი დემოკრატიის სალკლდეგულს, რომელზედაც დაიმსხვრევა ჩვენი დამოუკიდებლობის შებღალვის ყოველგვარი ცდა.

ეს უნდა ახსოვდეს ყველას.

***

ტფილისის ქალაქის საბჭოში მომხდარი კონფლიქტი უკვე დასრულდა.

მკითხველმა იცის, რომ წარსულ სხდომაზე ქალ. საბჭომ უარჰყო კონტრ-რევოლიუციასთან და სპეკულიაციასთან მებრძოლი განსაკუთრებული რაზმის დახმარება და თავისი რეზოლიუციით ქალაქის გამგეობა იძულებულჰყო გადამდგარიყო. არსებითად ქალაქის საბჭო თავის დადგენილებით მთავრობას ეწინააღმდეგებოდა და ამგვარად თვითმართველობისა და მთავრობის შორის კონფლიქტი უნდა ჩამოვარდნილიყო. ეს მეტის-მეტად სერიოზული მოვლენა იყო და გასაკვირი არ არის, თუ ქალ. საბჭოს 7 ოკტომბრის სხდომამ მრავალი საზოგადოება მიიზიდა. საკითხი ასე დაისვა: გადაეთვალიერებინათ უკვე მიღებული რეზოლიუცია, თუ არა. დიდი კამათის შემდეგ წარმოითქვა გახურებული სიტყვები ესერების მიერ, მიღებულ იქნა სოციალდემოკრატიის რეზოლიუცია, რომლითაც „ქალაქის საბჭო სახელმწიფოებრივ აღიარებლობათ სთვლის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსაკუთრებულ რაზმის არსებობას და ფიქრობს, რომ ქალაქის მილიცია მას ყოველნაირათ უნდა დაეხმაროს განსაკუთრებით სპეკულიაციასთან ბრძოლაში.“

ამგვარად, უმთავრესი საკითხი, რომელსაც კონფლიქტამდე მიჰყავდა საქმე, მშვიდობიანათ გადაწყდა და ქალაქის საბჭო მთავრობასთან კოლიზიას ასცდა. ეს მეტათ სასიამოვნოა. ქალაქის საბჭოს უმრავლესობამ ამ დღეს გამოიჩინა შესაფერი გონიერება და მიზანშეწონილობით გადასწყვიტა საკითხი.

ქალაქის გამგეობა გადადგა. მან კარგათ შეასრულა თავისი მოვალეობა და შესაფერი პასუხი გასცა რთულ მოვლენას. ამ ახლო მომავალში აირჩევა ახალი გამგეობა, რომელიც, გვწამს, ღირსეულათ გაუძღვება ქალაქის ცხოვრებას და პოლიტიკას.

საუგარი პროფესორ ცუგმაიერთან.

გუშინ გერმანიის დელეგაციის საიმფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ პროფესორმა ცუგმაიერმა შემდეგი ცნობები გადმოსცა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს:

ბულგარეთი.

ბულგარეთში მეფის ტახტზე ავიდა მეფე ფერდინანდის უფროსი შვილი ბორისი. მას შემდეგ რაც ფერდინანდმა მეფობაზე უარი განაცხადა და გადადგა, 4 ამ თვეს მოხდა ბორისის მეფეთ კურთხევა ავსტრიის—უნგრეთის და გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლების თანადასწრებით. ეს გარემოება ნათლათ მოწმობს მას, რომ ბულგარეთისა და ცენტრალურ სახელმწიფოების შორის სრულიად კეთილ-განწყობილებას ექნება ადგილი მერმისში ისე, როგორც ეს დღემდე იყო. ამას გარდა არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მეფე ბორისს გერმანული განათლება აქვს მიღებული, სავსებით იცის და ლაპარაკობს გერმანულ ენაზე. პოლიტიკური ორიენტაცია მეფე ბორისისა გერმანულია. ჩვენს დელეგაციას აქ არ ააქვს მიღებული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ პირობაში სწარმოებს ბულგარეთში სამოქალაქო ბრძოლა, ან ეს ბრძოლა დღეს არის იქ კიდევ, თუ უკვე შესწყდა. არაფერი ვიცით აგრედვე იმ წინასწარ ზავის ჩამოგდების შესახებ, რომელიც, როგორც სჩანს, უკვე დაიდვა ბულგარეთის და ინგლის-საფრანგეთის შორის. საერთოდ უფრო დაწვრილებით ბულგარეთის შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლიან ამ ჟამად. პოლიტიკური მდგომარეობა ბულგარეთისა სავსებით არ არის გამორკვეული, მხოლოდ შესაძლებელია, რომ წინასწარი დროებით ზავი იქნას დარღვეული და ბულგარეთი ისევ ომში ჩაერიოს ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ. ბულგარეთის ბედი გადასწყდება საბოლოოდ რასაკვირვილია, თუ კი, საერთო ზავის შეკვრის საქმე კარგათ წავიდა. სად იმყოფება ამ ჟამად ყოფილი მეფე ბულგარეთისა ფერდინანდი, დანამდვილებით არ ვიცით, ვფიქრობთ, რომ უნგრეთში უნდა სცხოვრობდეს.

გერმანიის მთავრობის შეცვლა.

გერმანიაში მოხდა უდიდესი პოლიტიკური ცვლილებები. ისე მშვიდობიანად და ასეთი სიჩქარით გატარება ცვლილებებისა, რომელსაც ჩვენ დღეს გერმანიაში ვხედავთ, მოწმობს მას, რომ ეს ცვლილებები არ იყო მოულოდნელი და უეცარი, არამედ მომზადებული წინასწარ და კარგათ აწონილ-დაწონილი. ცნობებიდან ჯერ კიდევ არა სჩანს, თუ როგორ არის საერთოდ განაწილებული მინისტრების პორტფელები. ამჟამად ვიცით მხოლოდ, რომ ჰერტლინგის ადგილი დაიკავა ბადენის პრინცმა მაქსმა, იმავე დროს, როგორც ეს წინადაც იყო, პრინცი მაქსი იქნება პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი. საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი აიღო სოლფმა, რომელიც წინედ ახალშენების სტატს-სეკრეტარი იყო. სოციალისტი შეიდემანი და ცენტრის წარმომადგენელი გრეიბე დანიშნული არიან სტატ-სეკრეტარებათ უპორტფელოდ. აგრეთვე დაარსებული არის ახალი დაწესებულება, რომელიც განაგებს საერთოდ პარლამენტის საქმეებს.

არჩევნების უფლების რეფორმა პრუსიაში.

გერმანიის იმპერიის სხვადასხვა სახელმწიფოებში, როგორც ვიცით, არსებობს საყოველთაო თანასწორი უფლება არჩევნებისა. მხოლოდ პრუსიაში დღემდე საარჩევნო უფლება მოძველებული იყო.

ჩვენ გვაქვს ოფიციალური ცნობები, რომ ზედა-პალატამ პრუსიაში უკვე მიიღო კანონი საყოველთაო და თანასწორ უფლების შესახებ. ამნაირად უკვე განხორციელდა გერმანელი ხალხის დიდი ხნის ნატვრა ამ საკითხის გადაწყვეტაში. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთლად გერმანიის ხალხი, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, გაერთიანებული ამ კანონით, ჯერ მეტი ენერგიით, კიდევ უფრო გაძლიერებული ერთსულოვნობით შეუდგება განახორციელოს გერმანიისათვის საჭირ-ბოროტო საკითხები, როგორც შინაგან ისე საგარეო საქმეთა შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არსად გერმანიაში ამ რეფორმების და საერთოდ მეტად დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ცვლილებების გატარების დროს, არავითარი არეულობა არ მომხდარა და არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია.

საერთო წინასწარი ზავის შესახებ.

უკანასკნელ სამხედრო ცნობებიდან, რომელიც ჩვენმა დელეგაციამ მიიღო ღამის სამ საათზე (ღამით 7-დან 8 ოქტ.) სრულიათაც არა სჩანს, რომ საერთო წინასწარი ზავი იყოს ჩამოგდებული, პირიქით დეპეშებში დიდმნიშვნელოვან ბრძოლებზე არის ლაპარაკი. სხვა რამე ცნობა ამ საკითხის შესახებ ჩვენ ამ ჟამად არა გვაქვს.

(დასასრული იქნება).

ალექსეევის შტაბთან და ყუბანის მთავრობასთან ბ. ევგენი გეგეჭკორის მოლაპარაკება.

(გაგძელება).

მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი. 7 ივნისამდე მე ვიყავი ფრონტზე ოსმალების წინააღმდეგ. ამავე რიცხვიდან, როცა კოდორთან გამოჩდენ ბალშევიკები და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდენ მათს იქედან განდევნას, მე, ჩემი მთავრობის ბრძანებით, გადავიყვანე ჩემი ჯარი და დავიწყე მოქმედება შავი ზღვის ნაპირებზე. გავწმინდე ის ადგილები ბალშევიკებისაგან და 14 ივლისს ავიღე ტუაპსე. უნდა გითხრათ, რომ მაშინ იმ მიდამოებში გარდა ჩემი ჯარების არავისი ჯარი არ იბრძოდა ბალშევიკების წინააღმდეგ. მოხალისეთა რაზმის არსებობაზე კი, ჩვენ სრულიად არ ვიცოდით. ამავე დროს ბევრშეკებია—შეკიწროვებისაგან რომ თავი დაეხწიათ, კლუხორის ულელტეხილისაგან იწყეს დენა ყაზახებმა თავიან ოჯახებით და მათზე მზრუნველობა ჩემი მთავრობის ნებართვით მე ვიკისრე. მხოლოდ ტუაპსეში გავიგე მოხალისეთა რაზმის არსებობა და ერთი კვირის შემდეგ ეკატერინოდარის აღება. ყუბანის მთავრობამ მთხოვა დახმარება; ამ მიზნით მე წავიწიე წინ ბელორეჩინისაკენ და ყუბანის მთავრობის წარმომადგენელის ლაპანის თხოვნით ავიღე ხადიჟენსკაია. აი, პირველად აქ მოვიდა მზვერავი აფიცერი მოხალისე რაზმისაგას. ამავე დროს სოხუმიდან მოვიდა 87 აფიცერი პოლკოვნიკი მოროზოვის მეთაურობით, რომელიც მე დავნიშნე მებრძოლ ნაწილის უფროსად.

ამ ფრონტიდან რამოდენიმე დღის უკან წავიყვანე ჩემი ჯარი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძლიერ მოქანცულნი იყენ დიდი ხნის განუწყვეტელი ბრძოლით. რაც შეეხება ცნობას ჯავშნიან მატარებლის გაფუჭების შესახებ, ეს სიმართლეს მოკლებულია. მე მაქვს საბუთი გენ. მასლოვსკისაგან, რომელმაც ის ჩაიბარა, და ამ საბუთში ნათქვამია, რომ მატარებელი გაფუჭებული არ არის. შეიძლება ის დაზიანებულიც იყოს, ამას მე არ უარვყოფ, მაგრამ ეს მოხდებოდა ბრძოლის დროს, ასე რომ მატარებლის გაფუჭების შესახებ ცნობა სიმართლეს არ შეიცავს და აი ამისი საბუთიც. მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს შეგატყობინოთ, რომ სამხედრო თვალსაზრისით შეცდომა იყო, რომ მე ტუაპსე დავტოვე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მოხალისეთა რაზმის ერთმა ნაწილმა, რომელმაც განდევნა ბალშევიკები ნოვოროსიისკიდან, არ მაცნობა ტუაპსეზე მომივალ ჯარის რაოდენობა; მაცნობეს მხოლოდ ის, რომ მოდიან დამარცხებული ბრბოები, რასაც მე ჯეროვანი ყურადღებით არ მოვეპყარი და უმთავრესი ჩემი ძალა მეორე ფრონტზე გადავიყვანე, მაშინ როდესაც მე მომიხდა ბრძოლა 11 ათას კაცთან 200 კაცისაგან შემდგარი რაზმით. ნათქვამიდან აშკარად სჩანს რომ ჩემს წინსვლას არ ჰქონდა დაპყრობითი მიზანი, არამედ ის იყო გამოწვეული ყუბანის მთავრობის თხოვნით და ბოლშევიკებისაგან თავდაცვის მიზნებით. ტუაპსეში ავიღეთ არა 800,000 მანეთი, არამედ 671,000 მანეთი, მაშინ, როცა ბალშევიკები ტვირთავდენ დრეზინას, ეს ფული ხაზინაშია, რომლისაგანაც შავი ზღვის რკინის გზის მოთხოვნილებისათვის მივეცით ერთხელ 200,000 მანეთი და მეორეჯერ 240,000 მანეთი. ამრიგათ უმეტესი ნაწილი ამ ფულისა დავაბრუნეთ დანიშნულებისამებრ. რაც შეეხება გემებს, ნავთსადგურების აღების დროს მე მიხდებოდა მათი დატუსაღება, რადგანაც მათი შემადგენლობა ბალშევიკური იყო და ცდილობდენ ბალშევიკებთან გაქცევას. ახლა მათ ლტოლვილები დაჰყავთ. რაც შეეხება „ზემფიროსს“, რომელიც თქვენ დაატყვევეთ, უნდა ვსთქვათ, რომ ის მინიჭებული ჰქონდა შავი ზღვის გზას თავისი ნებით. მას გადახდა 10,000 მანეთის ფრახტი; ამავე დროს, გაუგებარი მიზეზების გამო, მისგან აღებულია 100,000 მანეთი საწინადრად.

იმ კონვენციით, რომელზედაც ხელი ჰქონდა მოწერილი შავი ზღვის გზას, ყველა გემები წავლენ იმ ნავთსადგურებში, რომელზედაც თვითეული მათგანი მიწერილია. რადგანაც მიხდებოდა ჩემი თადარიგიდან ყაზახები და მათი ოჯახების საზრდოება, რომელიც დაგროვილი იყვენ სოხუმში, ყუბანის მთავრობამ მიიღო ეს მხედველობაში და როგორც ვალი გადამიხდა 5,000 ფუთი ფქვილი და 8,000 ფუთი ქერი. ამასობაში სამხედრო გუბერნატორმა დაატუსაღა ეს ტვირთი და არ უშვებს მას.

დ ე ნ ი კ ი ნ ი. ეს კითხვა აღძრული იყო მხოლოდ გუშინ და მისი გასათავისებლად მოხდენილია განკარგულება.

ბ ი ჩ ი. არა, ეს კითხვა დიდი ხანია აღძრულია.

დ ე ნ ი კ ი ნ ი. ჩვენ უბრძანეთ დაეკავებიათ ისინი მანამ, სანამ არ გამოირკვეოდა მიზანი სოჭაში საქართველოს მიერ რაზმის გადმოსხმის შესახებ.

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი. რამდენათაც მე ვიცი ბრძანება პორის დაკავების შესახებ გამოცემული იყო იმაზე ბევრათ ადრე, სანამ საქართველოს რაზმი სოჭაში გადმოვიდოდა.

ვ ო რ ო ბ ი ო ვ ი. იცით თუ არა თქვენ, რომ გემებმა, „გენერალმა“ და „კორკოდილომ“ გამოიტანეს ფოთიდან და გაგზავნეს კონსტანცაში 60 ვაგონი პური და 17 ვაგონი რეზინის შინები.

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი. შინების შესახებ ცნობა არ გვქონია, მაგრამ პური მათ შეუძლიანთ იყიდონ თავისუფალ ფასებში და გაგზავნონ კიდეც.

ს ტ ე ფ ა ნ ო ვ ი. მართალია თუ არა ის

ცნობა, რომ საქართველოს მთავრობისათვის წინადადება მიუციათ ქუთაისში გადავიდეს.

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი. ეს ტყუილია. გარწმუნებთ, რომ საქართველოს შინაურ საქმეებში ვერავინ ჩაერევა მანამ, სანამ მთავრობის სათავეში იქნებიან ისინი, რომელნიც დღეს არიან.

შ უ ლ გ ი ნ ი. მე ვფიქრობ, რომ უკეთესია დაუმალავად ყველაფერი ბოლომდე ვსთქვათ. აქ, ეკატერინოდარში, მოდიან ბევრნი და მოგვითხრობენ, რომ საქართველოში სდევნიან და ავიწროებენ რუსებს, აფიცრებს, მოხელეებს, ენას, სასწავლებელს და სხვა. მე მესმის, რომ ყველა ამრიგათ მონათხრობებს დიდი სიფრთხილითა და კრიტიკით უნდა მოვეპყრათ, რადგანაც ამას ლაპარაკობენ ემიგრანტები, შეურაცხყოფილნი; მაგრამ თუ ჩვენ ობიექტიურად ვიმსჯელებთ, უნდა ვსთქვათ, რომ ნაწილი მაინც მართალი იქნება. მე ძლიერ მესიამოვნა ე. პ. გეგეჭკორის სიტყვა, რომ საჭიროა სახელმწიფოს დაცვა და ბრძოლა იმ ხალხთან, რომელიც ანგრევს მას, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ წინეთ ეს არ გამიგონია მისგან. სახელმწიფოს დაცვა ძნელია მათთვისაც, ვინც დიდი ხნით ემსახურებოდა ამ საქმეს და ვინც ეხლა-ხან შეუდგა ამ გზას ის ამ დაცვის საქმეში შესაძლებელია ადვილად გადასცილდეს ლოიალობის საზღვარს და სცილდება თუ არა საქართველოს ახალი მთავრობა ამ საზღვარს? ეს ერთი. მეორე, ნება მომეცით განვაცხადო, რომ განსაზღვრულ სივრცეში დღეს ცენტრი მოხალისეთა ჯარს უჭირავს და ჩვენ ვხედავთ, რომ ჩრდილოეთით მას ავიწროვებენ ბოლშევიკები, დასავლეთით გერმანელები, აღმოსავლეთით ბაქოში ოსმალები და გერმანელები და ამავე დროს სამხრეთით შევიწროებას უწყებს საქართველო.

გვითხარით პირდაპირ, რომ თქვენ მონაწილეობას ღებულობთ მოხალისეთა რაზმის შევიწროების, გარსშემოვლების კონბინაციაში. თუ თქვენ მონაწილეობას ღებულობთ, მაშინ გასაგებია, რომ რუსებთანც ბოდიშს არ დაიწყებთ. ამისი მაგალითი ჩვენ გვაქვს უკრაინში. მე ვიძლევი პირდაპირ ამ კითხვას და ვფიქრობ, რომ შემდეგში ეს გაგვიადვილებს ჩვენს მოლაპარაკებას.

გ ე გ ე ჭ კ ო რ ი. მე გიპასუხებთ პირდაპირ ამ საკითხზე. ჩვენ აქ არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობთ. მაზნიაშვილის მოხსენებიდან თქვენ დაინახეთ, რომ როცა ჩვენ შავი ზღვის გუბერნიისაკენ მოვდიოდით, ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ინფორმაციის უქონლობას და ერთი მეორის ამბების უცოდინარობას, რასაკვირველია, შეუძლიან დაჰბადოს ყოველგვარი ეჭვები და გაუგებრობა. ჩვენ ბალშევიკებიც გვდებენ ბრალს იმაში, რომ თითქოს ჩვენ თქვენთან კავშირი გვქონდეს. მე კი ვფიქრობ, რომ ამ ჟამად ჩვენი თანამშრომლობა, შეხვედრა მხოლოდ შემთხვევითია, სხვა და სხვა სუბიექტიური მოსაზრებით დღეს ჩვენ ერთ წერტილს ურტყამთ, რომელიც წარმოადგენს მტრულ ძალას, როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვისაც, ასე რომ ჩვენ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. ჯერ-ჯერობით ჩვენი მიზანია დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრები ყოველგვარი მტრებისაგან. როგორ იქნება შემდეგში, ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. ჯერ-ჯერობით კი როგორც ვსთქვი, ჩვენი უმთავრესი საქმეა დაცვა დემოკრატიული რესპუბლიკის, მისი საზღვრების, ხალხის, ტერიტორიის, უფლებების ყველა იმათგან, ვინც მტრობას გაუწევს-იქნება ეს ბალშევიკები, თუ სხვა ვინმე, ჩვენთვის სულ ერთია. ფართე დაპყრობითი მიზნებს ჩვენ არ ვისახავთ და ამიტომ არავითარი საფუძველი არ არის იმისთვის, რომ გვიკიჟინოთ, რომ ჩვენ გერმანელებთან კავშირი შევკარით თქვენ და რუსეთის წინააღმდეგ და იცოდეთ, რომ თუ ჩვენს საქმეებში დაიწყეს ჩარევა და მოისურვეს ჩვენი პროგრამის შეცვლა, ჩვენ მთავრობიდან მაშინვე წავალთ, თუმც შესაძლებელია მოიძებნოს მეორე ჯგუფი, რომელიც ამ პირობებში ძალა-უფლებას მიიღებს თავის თავზე. თუ ჩვენ მიერ ჩვენი საქმეების კეთება თქვენ საბაბს გაძლევთ იმისთვის, რომ სთქვათ, ეს ჩვენის მხრით თქვენი შევიწროება არის, მაშინ ჩვენც გვაფიქრებინებს, რომ აქ შექმნილი პირობები თქვენის მხრით შევიწროებაა ჩვენი, რომლის საწინააღმდეგო გარანტიები უნდა მოგვცეთ ჩვენ.

ს ტ ე ფ ა ნ ო ვ ი. გეგეჭკორის და მაზნიაშვილის განმარტება გვიადვილებს საზღვრების შესახებ საკითხის გადაჭრას. თუ მე ნამდვილად გავიგე, მათთვის საკითხის გადაჭრა მდგომარეობს საზღვრების უზრუნველყოფაში და თუ ეს ასეა, მაშინ საქართველოს წარმომადგენლებმა უნდა განაცხადონ, რომ ისინი ჩვენი საზღვრებიდან ჯარებს წაიყვანენ.

ლ უ კ ო მ ს კ ი. ყველა ამ საკითხებზე ერთად მსჯელობა ძნელია, საერთო პასუხები გაურკვეველია. რას სიშნავს ევ. პ. გეგეჭკორის ფრაზა, რომ სანამ ჩვენ ერთ წერტილს ვურტყამდით, და რომ ბალშევიკებიც მათ ბრალს სდებს მოხალისეთა ჯართან კავშირის დაკავებაში. მეორე საკითხი—ეს პურის შესახებაა. საქართველოს არა აქვს თავისათვის პური და ამასობაში ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანელები ყიდულობენ იქ პურს და გააქვთ. ამაზე უნდა ითქვას დაწვრილებით. და თუ ჩვენ საქართველოს მივეცით პური, მან უნდა მოგვცეს იმის გარანტია, რომ ეს პური გერმანელებს არ ჩაუვარდებათ ხელში. რაც შეეხება რუს ოფიცრებს და მოხელეებს, მე მგონია, რომ შეურაცყოფილი ხალხი ყოველთვის გადააჭარბებს, მაგრამ ხაზს უსვამ იმ გარემოებას, რომ ეს საკითხი უნდა გაშუქებულ იქნას ყოველ მხრივ საბუთებით, და არა ზეპირად. მე ვფიქრობ ამის საწინააღმდეგო არ შეიძლება რამე ითქვას. სასურველია გავიგოთ საქართველოს დამოკიდებულება რუსეთის იმ ქონებაზე, რომელიც იქ დარჩა, ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია ვსთხოვო საქართველოს წარმომადგენელს მიპასუხოს ამ კითხვებზე, სანამ ცალკე კითხვების გადაჭრას შეუდგებოდეთ.

(შემდეგი იქნება).

პრესის მიმოხილვა.

გერმანიაში მეტათ დიდი და სერიოზული ამბები ხდება. ეს საერთაშორისო დემოკრატიზმის გაძლიერება-განმტკიცებისა და სანუკვარი ზავის ჩამოგდების დასაწყისია. იმპერიალისტურ-იუნკრულ უდრეკმა წრეებმა უკან დაიხიეს და დიდ კომპრომისის გზას დაადგნენ. შესდგა კოალიციონური სამინისტრო, რომელიც გერმანიას შესაფერ ხელმძღვანელობას გაუწევს. მთავრობაში შევიდნენ სოციალ-დემოკრატები. დაეცა ჰერტლინგი და მისი ადგილი დაიკავა ლიბერალმა მაქს ბადენელმა. დემოკრატიული რადიკალური ცვლილება, ცხადია, თავის დაღს დასვამს გერმანიის პოლიტიკას და ჩვენ ვხედავთ უკვე მის პირველ ნაყოფს. გერმანია მზათაა ჩამოაგდოს ზავი. ხალხის წარმომადგენლები თვით აწარმოებენ საგარეო პოლიტიკას, მოითხოვენ ზავს. ახლა სიტყვა ეკუთვნის შეთანხმების სახელმწიფოებს. გაზ. „ერთობა“ ეხება ამ ფრიად საგულისხმო მოვლენას და ამბობს:

„საერთო ძალთა განწყობილებამ გერმანიის ცხოვრებაში შეჰქმნა ისეთი პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც საუკეთესო თავდებია ევროპის შინაურ და საგარეო პოლიტიკის ძირიან-ფესვიანათ შეცვლისა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მის მიმყოლ დემოკრატიის პოლიტიკური უფლებით აღჭურვა ევროპის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დიდ ცვლილებას გამოიწვევს. ევროპის სამი უდიდესი კულტურული ერის დემოკრატია ამჟამად გაერთიანდება და დემოკრატიულ წყობილებას მტკიცე საძირკველი ჩაეყრება. ამ შემთხვევაში გერმანიის დემოკრატიას პირველობის როლი შეხვდა. იგი შინაური და საგარეო პოლიტიკის გადემოკრატების მოციქულად გამოვა და ამ მიმდინარეობას ყოველმხრივ გამოეხმაურებიან.

ახლა გერმანიის დემოკრატიას თამამად შეუძლიან დემოკრატიული ზავი წამოაყენოს და მთელი ქვეყნის ხალხს ამ ლოზუნგით მიმართოს. გერმანიის დემოკრატია თავისი ასეთი გამოსვლით შეთანხმების სახელმწიფოთა დემოკრატიას ამ წინადადებაზე დაითანხმებს, რომ მომავალ ზავს მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს. უკეთუ ასეთ ზავს არ დასთანხმდებიან, მაშინ გერმანიის ხალხის თავდაცვის უნარი წარმოუდგენლად გაძლიერდება და მისი შემუსვრა არავის არ ძალუძს.

მაგრამ ევროპის დემოკრატია გერმანიის დემოკრატიის ზავის მოწოდებას მხარს დაუჭერს და იმპერიალისტური ომის დღეები დათვლილია. საერთო წარმოებისა და პოლიტიკური ცხოვრების ურთიერთობა მოითხოვს ასეთ ზავს, მტკიცე მშვიდობიანობას და ხალხთა შორის თავისუფალ დამოკიდებულებას. მხოლოდ ამის შემდეგ ევროპის პროლეტარიატს მიეცემა საშუალება მრავალი დემოკრატიულათ გაუკეთებელი საქმეები გააკეთოს და ამ გზით დაუახლოვდეს თავის საბოლოო მიზანს.

გერმანიაში მოხდა უდიდესი ცვლილება და ეს კი თავდებია მტკიცე ზავისა და მთელ ევროპაში დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებისა“.

ეს მოვლენა იმდენათ საყურადღებოა, რომ ყველას პირზე აკერია დღეს გერმანიის საქმეები და მსჯელობენ: პასუხს გასცემენ თუ არა მოწინააღმდეგს ბანაკიდან გერმანიის საზავო წინადადებასო.

გაზეთი „საქართველო“ ეხება ამ საკითხს და სწერს:

„შეთანხმების სახელმწიფოების პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე აშკარად განაცხადეს, რომ საზავო მოლაპარაკებას გამართავენ მხოლოდ გერმანელ ხალხთან და არა მილიტარისტულ მთავრობასთან. დემოკრატიული რეჟიმის დამყარება გერმანიაში აუცილებელი წინასწარი პირობაა, ურომლისოდ ვილსონსა, ლლოიდ ჯორჯსა, კლემანსოსა და სონინოს შეუძლებლად მიაჩნდათ ომის შეწყვეტა. შესრულებულია თუ არა ეს პირობა ჰერტლინგის გადადგომით და მაქს ბადენელის მოწვევით? ვშიშობთ, რომ კლემანსო და მისი მოკავშირეები გერმანელ ლიბერალებსა და ზომიერ სოციალ-დემოკრატებსაც ისევე დამნაშავებად სთვლიან, როგორც კაიზერ ვილჰელმსა და მილიტარულ პარტიას. მართალია, ახალი კანცლერი თანახმა არის ვილსონის თოთხმეტი პუნქტი მიიღოს, მაგრამ შეთანხმებისათვის, როგორც ცნობილია, მარტო ერთი მხრის კეთილი სურვილი როდი კმარა. თვით ვილსონი დღეს ბევრად უფრო შეურიგებელია, ვიდრე ამ ორი წლის წინად იყო, როცა თეთრი სასახლიდან სენატში წავიდა და ჰუმანიური სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ამტკიცებდა, რომ დიდი ევროპიული ომი არც ერთი მხრის გამარჯვებით არ უნდა დამთავრდესო. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატების დიქტატორი თავის თავს გამარჯვებულად სთვლის. გამარჯვებულნი კი ულმობელნი არიან“.

მართალია ის, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განაცხადეს: ზავის შესახებ მხოლოდ გერმანიის ხალხს მოველაპარაკებითო. დღეს უკვე აშკარაა: გერმანიის ხალხი ლაპარაკობს ზავის შესახებ და ეხლა ჯერი ვილსონ-ჯორჯ-კლემანსოზეა. მართალია: გამარჯვებულნი ულმობელნი არიან, მაგრამ მათი გამარჯვება ჯერ კიდევ საკითხია. გვწამს, თუ ისინი თვით არ გასცემენ გერმანიის ხალხს საზავო პასუხს, თვით დემოკრატია საფრანგეთისა, იტალიისა, ინგლისისა და ამერიკისა, რომელიც ზავის მომწყურვალეა, თვით ეს დემოკრატია გასცემს პასუხს. ასე იქნება თუ ისე, ზავი სულ ახლო მომავლის საკითხია ბოლოს მაინც და თავისუფლად ამოისუნთქებს კაცობრიობა. ჩვენ დიდი სიხარულით ვეგებებით ამ მომენტს და გვწამს, რომ დემოკრატიული ზავი ცხოვრებასაც ჩამოაკალაპოტებს და წინსვლის საშუალებასაც არ მოგვისპობს.

ეროვნული საბჭო

მე-36 სხდომა

პარასკევი, 6 ივნისს 1918 წ. ტფილისი, სასახლე.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. (კითხულობს) შტატები სასამართლოს საგამომძიებლო ნაწილისა. საგანგებო საქმეთა გამომძიებელი (ტფილისში—2, ქუთაისში—1 და სოხუმში—1) თითოეულს თვეში 700 მანეთი, წლიურად 8,400 მ. ყველას წლიურად 33,600 მ. ყველას სექტემბრიდან წლის დამლევამდე 11200 მ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რევაზ გაბაშვილს.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. (ერ.-დ.) ჩვენ გვქონდა ეროვნულ საბჭოში ლაპარაკი იმაზე, რომ მართველობა უნდა იაფი იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია ისეთი იაფი იყოს, რომ საგანგებო გამომძიებელს საშუალება არა ჰქონდეს იცხოვროს იმ ქალაქში, რომელშიაც მოუხდება მუშაობა. ჩვენ ვიცით, რომ 700 მანეთით, ეხლანდელ პირობებში, ძალიან ძნელია ცხოვრების მოწყობა და მუშაობა, მეტადრე იმ გამომძიებლისთვის, რომელსაც უნდა ჰქონდეს ოთახი მისაღები, ისეთი ადგილი, საცა შეიძლება თავისუფლად მუშაობა. და თუ მივიღეთ ასეთი შტატი 700 მ. ყოვლად შეუძლებელი იქნება გამომძიებლისთვის მუშაობა. მე შემომაქვს წინადადება ეს თანხა გადიდებული იყოს 1000 მან. მაინც.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის იუსტიციის მინისტრს.

იუსტიციის მინისტრი შალ. მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, (ს.-ფ.) ბატონებო, რასაკვირველია, რაც უფრო მეტად უზრუნველჰყოფს სახელმწიფო თავის მოხელეებს, მით უმეტეს, იმისთანა დარგში, როგორც არის სასამართლო, მით უფრო რიგიან დონეზე, რიგიან ნიადაგზე იქნება დაყენებული სასამართლო. ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ, მე ვთხოვ ეროვნულ საბჭოს ყურადღება მიაქციოს ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობას. ნუ გავიწყდებათ, რომ პატარა საქართველოს დღეს ბევრი ახალი შტატების შემოღების გამო დიდი ხარჯები დაწვა. ნუ გავიწყდებათ, რომ ამ ნორმებში საგანგებო საგამომძიებლო ნაწილი დაგვიჯდება 1,240,000 მანეთი და მართლაც ეს შეადგენს ნახევარს იმ შტატებისას, რომელიც მომავალში უნდა იყოს მომრიგებელ ინსტიტუტისთვინ გადადებული. რასაკვირველია ბატონი გაბაშვილი მოუმატებს, და სრულიად სამართლიანადაც, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ გვაქვს სამი საშუალო სასამართლო პალატა. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ უნდა დავაწესოთ საკასაციო პალატა, უნდა შევინახოთ აუარებელი ტუსაღები, რაც ძალიან ძნელია და რაც ძალიან ძვირად ჯდება დღევანდელ პირობებში. რასაკვირველია მომავალში იუსტიციის სამინისტრო შესძლებს, როდესაც წესიერება ექნება დამყარებული, როდესაც ადმინისტრაციას მოვაღონიერებთ, როცა ნორმალურ კალაპოტში ჩადგება ცხოვრება, უმეტესი ნაწილი თავისი ხარჯისა, ზედმეტი ხარჯი თავის სამინისტროდან დაჰფაროს; დღეს კი ჩვენ ძალიან კრიტიკულ ფინანსიურ მდგომარეობაში ვიმყოფებით, და ამიტომ არ არის ნაკლები ეს ჯამაგირი, როგორც ბ. გაბაშვილს ჰგონია. ამ პირთ აქვთ სრულიად უფასოდ მისაღები ოთახი. მართალია, დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელია ცხოვრება. თუ ეროვნული საბჭო ყურადღებას მიაქცევს და მოუმატებს მე მადლობის მეტი არა მეთქმის რა, იმიტომ რომ, რაც უფრო უკეთეს პირობებში იქნებიან იუსტიციის მოხელეები, ეს უფრო უკეთესი იქნება, მეტი სიკეთე იქნება. მაგრამ ერთ რამეზე უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება. ჯამაგირები იმასთან შედარებით, რასაც ისინი იღებდნენ აქამდის ბლომად არის მომატებული, ნუ გავიწყდებათ, რომ 3 მარტს მთავრობამ დაადგინა, ამ საგანგებო საქმეთა გამომძიებელს დაენიშნოს 224 მან., შემდეგში იმათი ჯამაგირი ავიდა 550 მ-მდინ, დღეს ჩვენ 700 მ. გაუხადეთ. დღეს თუ კი თქვენ საჭიროდ დაინახვთ და მოუმატებთ, რასაკვირველია ძალიან კარგი იქნება. მე ჩემს ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლი გაგაფრთხილოთ, რომ იუსტიციის სამინისტროს ბევრი ხარჯი მოელის მომავალში. ჩვენ ფართო გეგმა გვაქვს შემუშავებული და თუ თქვენის აზრით სახელმწიფო შესძლებს ამისთანა ხარჯის ატანას, მოუმატეთ, ამის წინააღმდეგ არაფერი მექნება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ბ. გაბაშვილო, თქვენი წინადადებით რამდენი უნდა დაენიშნოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელს?

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ათასი მანეთი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. მე უჭერ მხარს კომისიის წინადადებას.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ჯამაგირად დაენიშნოს 700 მ.? (კენჭის ყრა) მაშასადამე მიღებულია 700 მანეთი.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. (კითხულობს) მათთვის საკანცელარიო ხარჯი ტვითეულს წლიურად 1000 მან. ყველას 4000 ?.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. (კითხულობს) უბნის გამომძიებელი ქ. თფილისში სულ 12. თვითეულს თვეში 650 მ. წლიურად 7800 მ. ყველას წლიურად 93600 მან.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რევაზ გაბაშვილს.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. მე ისევ უნდა გავიმეორო. აი აქ საგანგებო გამომძიებელს აქვს დანიშნული 700 მ., უბნის გამომძიებელს კი ენიშნება 650 მ., მარტო თუ იმით ხელმძღვანელობთ, რომ უბნის გამომძიებელის თანამდებობა ნაკლებია ვიდრე საგანგებო გამომძიებლისა, თუ ამით ვიხელმძღვანელეთ, მაშინ, შეიძლება, ვარაუდით მივცეთ ნაკლები ერთი მანეთით, თუ ორი მანეთით. მაგრამ, თუ იმით ვიხელმძღვანელეთ, რომ უბნის გამომძიებელი ისეთივე ადამიანია, ისეთივე ჭამა უნდა, როგორც საგანგებო გამომძიებელს, მაშინ დღევანდელ სოციალისტურ ხანაში, ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ ცხოვრება, რომ ყველა გავათანასწოროთ და, ამ მოსაზრებით, იმათაც ეს 700 მ. მაინც უნდა მივცეთ. დღეს უბრალო დარაჯს, უბრალო მოსამსახურეს იმაზე მეტი ჯამაგირი აქვს.

რა დააშავა უბნის გამომძიებელმა, რომ იმის მაგივრად რომ მილიციაში შესულიყო, დარაჯად გამხდარიყო, შეისწავლა თავისი საქმე, უნიეერსიტეტში იყო, და შემდეგში გახდა უბნის გამომძიებლად, ამიტომ უნდა ჩავაყენოთ იგი ისეთ პირობებში, რომ ჯამაგირი მარტო პურისათვის ჰყოფნიდეს.

დღეს პური ღირს 4—5 მან. და ცარიელ პურზე ხომ არ იქნება? როდესაც გვეუბნებით, რომ გამომძიებელი დამოუკიდებელი უნდა იყოს. რა დამოუკიდებელი იქნება ის გამომძიებელი, რომელიც 600 მ. იღებს, და შინ

ცარიელა გამხმარი პურის მეტი არა ექნება რა. ის თუ რამდენად დამოუკიდებელი გახდება, ეს მემარცხენეებმა იციან. რაც უნდა დამოუკიდებელი იყოს კაცი იურიდიულად, თუ შიმშილი შეაწუხებს, არამც თუ ის დამოუკიდებელი არ იქნება მინისტრისაგან, უბრალო მილიციონერისაგანაც კი იქნება დამოკიდებული. ეს პატარა ჯამაგირი უფრო დამოკიდებულად გახდის იმას. მარტო ფინანსიურ და ეკონომიურ მხრით რომ ვიხელმძღვანელოთ შინ ფულის ხარჯვა სრულიად უნდა მოვსპოთ, ერთ ალაგას უნდა მოვაგროვოთ, და როცა მილიარდერებათ გავხდებით მაშინ შევქმნათ სახელმწიფო. ესე კი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია. თუ სახელმწიფოს ფული ესაჭიროება, თუ სახელმწიფოს ფული აკლია, უნდა იზრუნოთ და იშოვოთ ფული და არა უბრალო, იაფ-ფასიანი დაწესებულება დაარსოთ. თქვენ ამით ვერაფერს გააკეთებთ და ვერ მიაღწევთ მიზანს, რომ სასამართლო იყოს დამოუკიდებელი, უმთავრესად მართლა სწარმოებდეს სასამართლო და არა ხუმრობა და სხვა რამე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. არსებითად ამის წინააღმდეგ რაიმეს თქმა არ შეძიძლიან. მართალია კარგია ყველა უზრუნველყოთ. რაც უფრო ძეტი ჯამაგირი ექნებათ—უფრო მეტს მოვთხოვთ მოსამსახურეებს. მაგრამ, მაინც ფინანსიურ მოსაზრებით, და იმ ფორმალურ მოსაზრებით, რომ არ შეიძლება, და საშუალება არ გვაქვს, უბნის გამომძიებელს ზედ-მეტი მივცეთ, ვიდრე საგანგებო გამომძიებლებს და რომ არ დავრჩეთ სრულებით უგამოძიებლოდ—საჭიროა დაუნიშნოთ 650 მ. ამიტომ მე მხარს უჭერ კომისიის დადგენილებას რომ დანიშნოს 650 მ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მაშასადამე წინადადება არის შემოტანილი, რომ უბნის გამომძიებელს მიეძატოს ჯამაგირი 700 ძანეთამდე. ვინც წინააღმდეგი არის რომ დარჩეს 650 მ. გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინც მომხრეა რომ დარჩეს 650 მ. გთხოვთ ასწიოთ ხელი. მაშასადამე დარჩა 650 მ.

რ. არსენიძე. (კითხულობს) მათთვის საკანცელარიო ხარჯი 1000 მ. საგზაო 50 მანეთი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რევაზ გაბაშვილს.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი (ერ. დემ.) მე მაკვირვებს ბატონებო, ასეთი საშინელი ეკონომია. ეს კიდევაც მივიღეთ, ამას რა გაეწყობა, რომ დაეხიმბათ ისეთი ჯამაგირები, ოომ სიმშილით იხოცებოდნეხ. იძათ ევალებათ, რომ 700 მ. იმგავროს კიდეც და ჩვენ ყველამ ვიცით, რომ 65 მ. საგაოეჯოძდის ვერ ვივლით. თქვენ არ აძლევთ საძუალებას მოგზაურობიათვის, რომ თავისი მოვალეობა და საქმე შეასრულოს. თუმცა აქ ახდილად ვერ ითქმის, ოიტოა, ოომ ეროვნულ საბჭოში ამაზე არ ლაპარაკობენ, ძაგრამ, პირდაპირ უნდა ვსთქვა ქვენ აკანონებთ მექრთამეობას. ის უწესოებას და ძექრთამეობას აკანონებთ, რომელიც არის დღეს. რომელი გამომძიებელი იქნება რომ, 700 ძანეთს 300 ძანეთი თავის ჯიბიდან დაუმატოს. ეს ყოვლად შეუძლებელი ამბავია. ისეთი კანონი მივიღოთ, რომ სამგზავრო ისეთი მივცეთ, რომ საგზაო ხარჯები იყოს ანაზღაურებული. და თუ ეს წესი არ შემოვიღეთ, იმ წესებთან, რომელსაც ღებულობს ბატონი გზათა მინისტრი, რომელიც ყოველდღე უმატებს ტარიფს,—50 ძანეთი კი სწორედ იმდენი იქნება, რომ გაიაროს ერთი სადგური. ასეთ წესებით ვერც ერთი გამომძიებელი ვერ შესძლებს ზედ-ძეტ ხარჯის გაწევას.

ამიტომ, მე შემოძაქვს წინადადება: საგზაო ხარჯები ყველა სასაძართლო შეხედულებისა იყოს განსაზღვრული, იმდენად, რამდენსაც მოითხოვს ეს ხარჯები. ე. ი. როგორც ეს იყო წინად რუსეთში შემოღებული ზოგიერთ დაწესებულებაში. ამ დაწესებულებებს პირდაპირ ჰქონდათ უფლება, რომ რკინის გზაზე იღებდნეხ 3ბ საგანგებო ბარათებს, და ამ ბარათებით თავისუფლად დადიოდნენ. შემდეგ ეს დაწესებულება უგზავნიდა სასამართლოს და სხვა დაწესებულებებს ამ ბარათს.

თუ ასეთი წესი არ გვექნება, ვერც ერთი გამომძიებელი ვერსად ვერ წავა, რადგანაც ის შიმშილით მოკვდება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ბატონო გაბაშვილო, უმორჩილესად გთხოვთ ეს წინადადება წერილობით შემოიტანოთ, რადგანაც ეს მარტივად არ არის გამოთქმული. სიტყვა ეკუთვნის იუსტიციის მინისტრს.

იუსტიციის მინისტრი შ ა ლ ვ ა მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი. როდესაც ამ კანონს ვიმუშავებდით, ბატონებო, მე თავი მოუყარე ყველა პრაქტიკულად და თეორიულად გამოცდილ ადამიანებს, და ამათთან თათბირი გვქონდა. მართლაც და დღევანდლამდის აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ გამომძიებლები. იმათ ჰქონდა ჯამაგირი ყველა დამატებით 500 მ. გზის ფული ეძლეოდა თვიურად 16 მან. და კანცელარიის ხარჯს აძლევდნენ 38 მ. და ამ კანცელარიის ხარჯზე უნდა ჰყოლოდა როგორც მწერალი, რომელსაც საქმე უნდა ეწარმოებინა, ისე მასალა უნდა მოეგროვებინა. სახელმწიფო ამ ჩვენ კანონ-პროექტით, ამ მხრივ, ძალიან ფართო დახმარებას უწევს გამომძიებლებს. ჩვენ ამასთან დავაწესეთ, რაც შტატებში არ ყოფილა შეტანილი, ცალკე საქმის მწარმოებელი, თარჯიმანი, კურიერი, ამითი იმისი ჯამაგირი ყოველი ზედმეტი ბარგი მოვაცალეთ, ამასთან, ეძლევა კანცელარიის ხარჯი 1000 მ. კამერის გასათბობად და გასანათებლად 2000 მან.

უმთავრეს შემთხვევაში, პროვინციაში და ტფილისშიაც, უბნის გამომძიებელს იმისთანა პრაქტიკა აქვთ ხოლმე, რომ ისინი თავიანთ კამერასაც და ბინასაც ცენტრალურ ადგილას აწყობენ, ასე რომ მათ ერთეული შეღავათი ეძლევათ, ამითი უკვე სარგებლობენ.

რაც შეეხება საგზაო ხარჯს, რაზედაც ბატონი გაბაშვილი ამბობს, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ თათბირიც გვქონდა ამაზე. ოდესღაც იუსტიციის სამინისტრომ ასეთი გზა გამოსცადა, მაგრამ შემდეგ სამინისტრომ თავბედი იწყევლა. იმისთანა ხარჯები წარმოადგინეს გამომძიებლებმა, რომ იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტმა ვერ აიტანა მაშინდელ პირობებშიაც კი.

ყოვლად შეუძლებელია, რომ გამომძიებელს თქვენ უთხრათ: საცა საჭიროა, წადი, რაც საჭიროა დახარჯე და მერე მოგცემთ. მაშინ განსაზღვრული წესი უნდა უჩვენოთ. თუ სად წავიდეს, რამდენი დახარჯოს, თორემ ხშირად იმ წესით ივლიან და იმისთანა ხარჯებს წარმოადგენენ, რომ ჩვენს ღარიბ სახელმწიფოს ამისი ატანა არ შეეძლება. თუ გაბაშვილს უხერხულად მიაჩნია, და გაბაშვილის აზრი თქვენც მიგაჩნიან სრულიად სამართლიანად, რომ 50 მან. საგზაო ხარჯისთვის ცოტაა, მე თქვენ გთხოვთ, რამდენიც გნებავთ მოუმატეთ, რომ თითონ იცოდეს, და ის თითონ მოისაზრებს, როგორ უნდა დაატრიალოს საქმე, მაგრამ თუ ჩვენ მივიღეთ წინადადება, რომ გამომძიებლებს უფლება აქვთ ხარჯონ რამდენიც სურთ, მე ვერ დაუმტკიცებ გამომძიებელს, იმას რომ საცა ის ავტომობილით წავიდა იმას იქ შეეძლო ეტლით წასულიყო. ეს კი იმისთანა ხარჯებია—გზის ხარჯები, რომ შეიძლება დაგიჯდეთ მეტად, ვიდრე მთელი ინსტიტუტი. და თუ საბჭო დაეთანხმება ბ. გაბაშვილის აზრს, რომ 50 მანეთი მცირე არის, შეიძლება ეს მართლა მცირე იყოს დღევანდელ პირობებში, მე გთხოვთ, რომ მოუმატოთ, ძაგრამ ერთის პირობით, რომ განსაზღვრული თანხა მიეცეს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რევაზ გაბაშვილს.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. (ერ.-დ.) ბატონებო, ბატონმა მინისტრმა დაიბოღმა რუსეთის კანონი. მთელი ქვეყნიერება სცნობს რუსეთის სასამართლოს, როგორც ყველაზე მოსყიდულ სასამართლოს. უთუოდ ბ. მინისტრს ახსოვს მაგალითი, რომ ერთი რევოლიუციონერი, ჩვენი ტფილისის მოღვაწე, გადარჩა სიკვდილით დასჯას იმით, რომ მოისყიდა მოსამართლე. ჩვენ რუსეთს კი არ უნდა მივბაძოთ, ჩვენ ისეთი სასამართლო კი არ უნდა შემოვიღოთ, საცა ყოვლად უვარგისი სისტემა იყო, საცა მოსამართლეებს, პროკურორებს და გამომძიებლებს სცვლიდნენ და როგორც პანტას ჰყრიდნენ. ეს ძაგალითი ჩვენთვის გამოსადეგი არ არის. ეს ერთი.

მეორე ისიც, სწორე გითხრათ, გამაკვირა იუსტიციის მინისტრის განცხადებამ, რომ რადგანაც რუსეთში ისე ყოფილა, რომ გამომძიებელნი მიდიოდნენ სადმე სოფლად საქმეზე, და ისეთ ანგარიშებს აძლევდნენ, რომ რუსეთის ბიუჯეტმა ვერ აიტანაო. თუ თქვენ წინდაწინვე ასეთი უხდობლობით ეკიდებით ჩვენს მოსამართლეებს დ გამომძიებლებს, რომ ისინი თავის პირადი ინტერესებისთვის წამოაყენებენ ასეთ ანგარიშებს, რომელთაც ვერ აიტანს საქართველოს რესპუბლიკა, მაშინ ისეთი პირობები უნდა შექმნათ, რომლის გადალახვა შეუძლებელი იყოს. თუ თქვენ არ შექმნით ამისთანა პირობებს, წესებს, რომ კაცმა ქრთამი არ აიღოს, ყოვლად შეუძლებელია რომ დაუნიშნოთ 600 მან. და მიაბათ ამ სამსახურსა; გახადოთ მოხელეთ, და იმავე დროს უნდა აუკრძალოთ ქრთამის აღება,—არავინ წავა სასამართლოში; თქვენ წინასწარ აკანონებთ იმ უწესოებას, რომ ყველა მოსამართლემ აიღოს ქრთამი, როგორც დღეს იღებს მილიციონერი და სხვა. მე პირადად არ მესმის, რატომ არის განსაზღვრული 50 მანეთი, რატომ არ არის 600 მ. არაფერი ნორმა არ არსებობს. რად უნდა იყოს 50 მ. ან 100 მანეთი? ბ. იუსტიციის მინისტრი ამბობს, რომ თუ ეს ნაკლებია, თქვენ გაადიდეთ, მაშინ შეიმუშავეთ. ვიღაცამ იოხუნჯა, საქართველოს რკინის გზა გადიდდაო, მაგრამ ეს ხომ მართლა ესე არ არის. საქართაელოს რკინის გზა არ გადიდებულა, მაგრამ გზათა მინისტრის წყალობით მაინც 3 და 4 დღე უნდება ადამიანი ქუთაისში ჩასვლას.

აქედან ფოთამდე და აქედან ბათომამდე უკაცრავად, შემცდა თელავიდან აქამდის—სულ რამოდენიმე მატარებელი არის, ჩვენ ვიცით, რამდენი ავტომობილის, რამდენი ურმის გზა გვაქვს. ჩვენ დავაწესოთ ისეთი ინსტრუქცია, რომ მოსამართლე, რომელიც მიდის საგარეჯოში ურმით წავიდეს. მაშინ ვერც ბენზინის და ვერც ავტომობილის ფასს ვერ გვიანგარიშებს, მაინც ისედაც ვერ იშოვნის ბენზინს და ვერც ავტომობილს გაატარებს.

როცა იქნება ნათქვამი, რომ მოსამართლემ ხარჯი უნდა წარმოადგინოს, და ეს ხარჯი უნდა ავანაზღაუროთ, მაშინ მიეცემა ის, რაც ღირს, რაც უნდა დასჯდომოდა მგზავრობა. ჩვენ ვიცით რა ღირს ბილეთი თელავამდე. გამომძიებელი ივლის მეორე კლასით და თუ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შემოიღო—იქნება მესამე კლასითაც იაროს, და დაეხარჯება 25 მან., მაგ. თელავამდის დღეს 22 მან, ღირს ბილეთი, მგონი, და თუ თქვენ 50 მ. აძლევთ—ეს ეყოფა გურჯაანამდის და იქ უნდა დარჩეს. სახსარი არ ექნება, რომ განაგრძოს გზა. ამიტომ, განსაზღვრა არ იქნება უნდა ზედ-მეტი ხარჯი მიეცეს გასამსჯელო, რადგანაც, გზა რა ღირს და მოგზაურობის ხარჯი როგორია დღეს არ ვიცით, და ამიტომ, განსაზღვრა ხარჯისა ძნელია და რას დახარჯავს დღიურად—ეს სულ სხვა არის.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს კიდევ ამის შესახებ. სიტყვა აღარავის ჰსურს. მაშასადამე მე სიტყვას მივცემ მომხსენებელს.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. (ს.-დ.) ბატონებო! არ არის ტექსტი ამ შესწორებისა, რომელიც აქ შემოტანილია. თუ შეიძლენა მიბოძეთ ეს შესწორება, რომელიც შემოიტანეთ, რომ აქ ვილაპარაკოთ. მიბოძეთ ტექსტი. აქ არის შემდეგი წინადადება: (კითხულობს), სასამართლოს მოსამსახურეებს მიეცეს გზის ხარჯი, თანახმად ნამდვილ ხარჯისა. მე ეს ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია ორი მოსაზრებით.

ერთიმოსაზრება: უნდა იყოს ნათქვამი: სასამართლოს გამომძიებელს, აქ კი სწერია—სასამართლოს მოსამსახურეებს.

თავის თავად ცხადია, რომ შემომტანს ჰსურდა დაეწერა გამომძიებელს. აქ კი სწერია: „სასამართლოს მოსამსახურეებს“. სასამართლოს მოსამსახურეებს ჩვენ არ ვაძლევთ საგზაოს, ჩვენ ვაძლევთ გზის ხარჯს გამომძიებლებს. შეიძლება რკინის გზის ხარჯი მიეცეს გამომძიებელსო, ბრძანა ბატონმა გაბაშვილმა. მას წარმოუდგენია, რომ თვითეულ უბნის გამომძიებელს დაევალება მთელ გუბერნიაში სიარული. უნდა მოგახსენოთ, რომ სულ 30 გამომძიებელი არის ერთ გუბერნიაში დაწესებული. ისე, რომ თითოეულ უბნის გამომძიებელს ექნება ჩაბარებული $^1/_{30}$ ნაწილი გუბერნიისა. მისი მოვალეობა, მისი საოჯმედო ასპარეზი ისეთია, როგორც მაგალითათ აქედან გორამდის წასვლა, არც კი დასჭირდება. დაახლოვებით, ნახევარი თელავის მაზრის ოდენა ტერიტორია დარჩება მის ნაწილში. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია საგზაო ფულის განსაზღვრა. მარტო მატარებლით არ დასჭირდება, მას მოგზაურობა მოუხდება ცხენით, ურმით და სხვ. წინდაწინ ყველა ამის განსაზღვრა კი ყოვლად შეუძლებელია.

ძალიან ხშირად შეიძლება იმისთანა შემთხვევა, როცა ერთი სოფლის თავიდან სოფლის ბოლომდინ ჩავა და სხვ.

თავისთავად ცხადია, რომ ძნელია განსაზღვრა გზის ხარჯისა. აქ კონტროლის გაწევა არც იუსტიციის მინისტრს, არც მთავრობას, არც სხვა ვისმეს არ შეუძლიან. გარდა ამისა გამომძიებელის მდგომარეობა ისეთი დამოუკიდებელი არის, რომ მას კონტროლს ისე ოლად ვერ გაუწევთ. მას სამსახურიდან ვერ გადააყენებთ, ვერ გაისტუმრებთ, ვერ გადაიყვანთ სხვა უბანში, ისე დამოუკიდებელი არის მისი მდგომარეობა. ამატომ დამეთანხმებით, რომ შეიძლება გზის ხარჯი განსაზღვრული იყოს რაიმე რიცხვით, 35—40 მ. 70 მ. მაგრამ არა ნამდვილი ხარჯების მიხედვით კი, როგორც იღებდნენ მაგალითად ჩინოვნიკები, რომლებსაც სპეციალურად გზავნიდნენ ხოლმე სადმე. ასეთი პრინციპის მიღება შეუძლებელია. მე პირადად პრინციპიალურად თანახმა ვარ, თუ გსურთ, ხარჯის გადიდება, მაგრამ რადგანაც რიცხვი 50 მანეთის მეტი არ არის შემოტანილი, მე არჩევანი არ შეძიძლიან. ამიტომ წინააღმდეგი ვარ შემოტანილ წინადადებისა და მხარს ვუჭერ განსაზღვრულ თანხას, რომელიც კომისიისაგან არის წარმოდგენილი და საფინანსო კომისიის მიერ მოწონებული.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ბატონებო, ამისთანა წინადადება არის შემოტანილი, რომ უბნის გამომძიებლებს საგზაოდ მიეცეთ თანახმად ნამდვილ ხარჯებისა. ვინ არის წინააღმდეგი? ვინ არის მომხრე? (კენჭის ყრა). მაშასადამე ეს წინადადება უარყოფილია.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. (კითხულობს) ქუთაისის გუბერნიაში—18. თითოეულს 650 მანეთი. მათთვის საკანცელარიო ხარჯი თითოეულს წლიურად 1000 მანეთი, საგზაო—75 მ. ბინის გათბობა-განათებით.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. ქ. ქუთაისში 4. თითოეულს თვეში 650 მ. ქ. ფოთში 2. თითოეულს 650 მ. მათთვის საკანცელარიო ხარჯი თითოეულს წლიურად—1000 მანეთი. საგზაო 50 მ. ბინის გათბობა-განათებით თვიურად 125 მან.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. ქუთაისის გუბერნიაში—18. თითოეულს 650 მ. მათთვის საკანცელარიო ხარჯი თვითეულს წლიურად 1000 მ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. სოხუმში 2. მათთვის საკანცელარიო ხარჯები 1000 მან. თვითეულს წლიურად საგზაო 50 მ. ბინისათვის გათბობა-განათებით 125 მ. თვიურად.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. სოხუმის ოლქში 4. თვითეულს 650 მ. მათთვის საკანცელარიო ხარჯები 1000 მ. საგზაო 75 მ. ბინისათვის გათბობა-განათებით—100 მ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინაღმდეგი? მიღებულია.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. გამომძიებელთა საქმის მწარმოებელნი იგივე თარჯიმანი 64. თვითეულს 400 მანეთი. გზირები 64, თვითეულს 250 მ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ბ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს კლიმიაშვილს.

კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი. საქმის მწარმოებლის ჯამაგირის შესახებ, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შემომაქვს შესწორება, რომ საქმის მწარმოებელს ჯამაგირი 400 მ. მაგივრად მიეცეს 450 მანეთი. მათ ჯამაგირის მეტი არაფერი მოეპოვება. 400 მანეთით კი შეუძლებელია, რომ თავი ირჩინონ. ამის გარდა საქმის წარმოებისათვის საჭიროა ისეთი პიროვნება, რომელსაც შეუძლიან მუშაობა. ის თითქმის კანცელარიის გარეშე არის და თავისუფალ მუშაობისთვის აზროვნობის კაცი უნდა იყოს. 400 მანეთით შეუძლებელია ამისთანა პიროვნების დაქირავება. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას წინადადება შეამოაქვს მას მოემატოს 50 მან. რომ მისი ჯამაგირი იყოს 450 მ.

რ. არსენიძე. მე პირადად არაფერი მაქვს წინააღმდეგი ასეთ შესწორებისა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. წინადადება არის საქმის მწარმოებელს მიემატოს 50 მ. ვინ არის ამის მომხრე? (კენჭის ყრა) მიღებულია. საერთოთ კენჭს უყრი ამ კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

შემდეგ გახლავთ კანონ-პროექტი სახელმწიფოს დროშის შესახებ. მომხსენებელია საბჭოს წევრი კონსტანტინე მაყაშვილი.

კონ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი. (დამოუკ. პარ.) ბატონებო, ვიდრე შეუდგებოდე კანონ-პროექტის კითხვას, ნება მიბოძეთ რამდენიმე ისტორიული ცნობა მოგაწოდოთ საქართველოს ყოფილ ისტორიულ დროშების შესახებ.

საქართველოს ძველ დროიდანვე ჰქონია დროშა, ან უკედ რომ ვსთქვა დროშები, რომლის შესახებაც გახლავთ აღწერა ლათინურ, ბერძნულ და სომხურ ენებზე.

მეცამეტე საუკუნეში დროშა უნახავს პოლონელ მოგზაურს კოტოვიჩს და აუწერია. თქვენ, ალბად, მოგეხსენებათ, რომ ქართველებს ჰქონდათ განსაკუთრებული უფლება, ოსმალთა მიერ მინიჭებული, გაშლილის დროშით იარაღ-აუხსნელად იერუსალიმში შესვლისა. აი სწორედ ამ ერთ-ერთ საზეიმო შესვლის დროს მას უნახავს და აუწერია, სხვათა შორის, დროშაც. ამ ცნობათა მიხედვით დროშა საქართველოსი იყო 2 ნაირი: სეფე დროშა და მთავარსარდლის დროშა. სეფე დროშას შეადგენდნენ შემდეგი ნაწილები: იმას ჰქონდა თეთრი ბუნი, ე. ი. რომ უფრო ნათლად იყოს თქმული—ტარი. ტარი ანუ ბუნი იყო თეთრი. ალამი ანუ მატერია ჰქონდა წითელი. (შინდის ელფერისა). ბუნს ბოლოში ჰქონდა ვაშლი. ვაშლში იყო გაკეთებული ან ჯვარი ან შუბის წვერი. მთავარსარდლის დროშა შესდგებოდა იმავე ნაწილებისაგან, მხოლოდ განსხვავდებოდა ფერებით. სახელდობრ: მატერია—ალამი ჰქონდა თეთრი, ბუნი კი—წითელი. ამ ცნობათა მიხედვით ალამი შესდგებოდა ორი უმთავრესი ფერისაგან. თეთრისა და წითელისაგან, ანუ შინდის ფერისაგან. მაგრამ არსებობს სხვა ცნობაც. თუმცა კი სადავოა, რომ იყო დროშა, რომლის ალამი იყო შავი. ეს ცნობა ემყარება იმაზე, რომ თვით შოთა რუსთაველს აქვს დაწერილი ერთ ალაგას:

„ალმართეს დროშა მეფისა
ალმითა წითელ შავითა“.

პროფესორი ხახანაშვილიც ადასტურებს ამ შავ ფერს, როგორც ალმის ერთ-ერთ ნაწილს. შარშან ინტერ-პარტიული საბჭო შეუდგა დროშის შემუშავებას. მოიწვია მცოდნე პირები: პროფესორი ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მხატვარი შავარდნაძე, მოქანდაკე ნიკოლაძე და თათბირის შემდეგ მიიღო ცოტაოდენის ცვლილებით პროექტი დროშისა, რომელიც წარმოადგინა ნიკოლაძემ. ეს გახლავთ სამფეროვანი დროშა, რომლის ალამი უმეტეს ნაწილად შინდის ფერისაა. (ივანიცკი, იქითკენ აჩვენეთ. ჩვენ ვიცით) ალმის სიგძით ორ მეხუთედს შეადგენს თეთრი და შავი ზოლები. რა თქმა უნდა ეს დროშა არის ერთგვარი კომპოზიცია. მაგრამ, რადგანაც ეს დროშა იყო გაშლილი შარშან ნოემბერში ეროვნულ ყრილობაზედ, რადგან ამ დროშის ქვეშ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და გარდა ამისა ეს დროშა უკვე მოინათლა ბრძოლის ცეცხლში, ამგვარად იგი იქცა ისტორიულად და მე მგონია, ახლა ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ კანონით დავადასტუროთ მისი არსებობა.

ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე. (სოც.-რევ.) ბატონებო, სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით უნდა გამოვაცხადო შემდეგი. დროშა, რომელ დროშის ქვეშაც ჩვენ ვდგევართ, არის ნამდვილი ჩვენი მისწრაფების გამომხატველი და არა ის დროშა, რომელიც არის წარმოდგენილი თქვენს წინაშე სამფეროვან სახით. ჩვენ ამიტომ თავს ვიკავებთ, ვინაიდან ეს არ არის მომავალ ჩვენ იდეალების და მიზნების განხორციელების ნიშანი. ჩვენ ვდგევართ ერთნაირ წითელ დროშის ქვეშ და ვიქნებით მისი დამცველნი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს კიდევ სიტყვა? მომხსენებელი.

მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი. მე არაფერი საწინააღმდეგო არ შემიძლიან ვსთქვა. კაცია და გუნება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. გთხოვთ წაიკითხოთ მუხლობრივ კანონ-პროექტი.

მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი. კითხულობს 1 მუხლს. აქ უნდა იყოს შინდის ელფერი. და რადგანაც გეროლდიკაში არ არის მიღებული შინდის ელფერი ჩვენ ვწერთ წითელი.

რ. არსენიძე. ჩვენ მომხრე ვიქნებით, რომ სახელმწიფოს დარჩეს ასეთი სამფერვანი დროშა სწორედ იმიტომ, რომ წითელი დროშა გვაქვს პარტიისთვის. (მქუხარე ტაში მთელს დარბაზში).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არას წინააღმდეგი პირველ მუხლისა? არვინ. მაშასადამე მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მე-2-ე მუხლიც.

კ. მ ა ყ ა შ ვ ლ ი. (კითხულობს მეორე მუხლს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

თ ა ვ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ჩიქოვანს.

დ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი. (რად.-დემ.) რადიკალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი.

რასაკვირველია, ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით ამ პროექტს, მაგრამ ამასთან ერთად გამოვსთქვამთ სურვილს, რომ ამიერიდგან მაინც, როდესაც ჩვენ გვაქვს სახელმწიფოს დროშა გამოფენილი იყოს ჩვენი სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულების სათავეში, ე. ი. ჩვენს სასახლეში. (ივანიცკი. თუ გვარდილები ნებას მოგვცემენ).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ახლა საერთოდ კანონ-პროექტი, ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია. ეხლა გადავალთ კანონ-პროექტზე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებზე.

(ხმები: გადავდოთ კრება). აქ არის წინადადება კრება გადავდოთო. ვის ჰსურს ამის შესახებ სიტყვა?

რ. არ ს ე ნ ი ძ ე. (ს.-დ.) მე ვიძლევი წინადადებას: განვაგრძოთ კრება. ჩვენ ჩვეულებრივ ძალიან გვიან ვიწყობთ. რეგლამენტის ძალით ჩვენ 11 საათზე უნდა დავიწყოთ კრება. დაწყებისას რეგლამენტს ყოველთვის ვარღვევთ. მე მგონია რომ დასასრულისაც რომ დავარღვიოთ ეს სამართლიანობის აღდგენა იქნება. (ხმა მარჯვნიდან: ჩვენ უკვე დადგენილება მივიღეთ) მე წინადადებას ვიძლევი განვაგრძოთ დღეს კრება 5 საათამდის.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. (ერ. დ.) მე ვიძლევი წინადადებას, რომ შესწყდეს კრება. ყოვლად შეუძლებელია, რაკი ერთ-ერთ შეცდომას ჩავიდენთ ჩვენ მეორე შეცდომაც ჩავიდინოთ ბ იმით გავამართლოთ პირველი შეცდომა. როდესაც არღვევთ პირველს, განა ეს ვისმეს აძლევს უფლებას რომ მეორედაც დავარღვიოთ. ეს ერთი და მეორეც ეს კანონ-პროექტი ძალიან დიდია და ძალიან სერიოზულიც არის, ამაზე ბევრი ლაპარაკი მოგვინდება, ეხლა დროც გადასულია, ასე ნაჩქარევად გასინჯვა არ შეეფერება. ამიტომ მე გთხოვთ, ჩემი წინადადებაა, რომ შევწყვიტოთ კრება.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. (ს.-დ.) მე მგონია, რომ ჩვენ არავითარ წესრიგს არ ვარღვევთ. ესევე რეგლამენტი ნებას გვაძლევს სხდომა განვაგრძელოთ და არავითარი რეგლამენტის დარღვევა არ არის. მე აღვნიშნე მხოლოდ, რომ დღეს ეს რომ ჩავიდინოთ, ამითი რეგლამენტს კი არ დავარღვევთ, არამედ დავიცავთ სამართლიანობას. აი მხოლოდ ამ მიზნით მოგახსენეთ და არა იმ მიზნით, რომ რეგლამენტი დავარღვიოთ. ვინაიდან საბჭოს უფლება აქვს თავისი განსაკუთრებული დადგენილება მიიღოს კრების გაგრძელების შესახებ, ასეთია წესი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს დადიანს.

ს. დ ა დ ი ა ნ ი. (ს.-ფ.) რასაკვირველია, ამ წინადადებით არავითარი წესი და რეგლამენტი არ ირღვევა; ის რეგლამენტი აღნიშნავს, რომ საბჭოს ნება აქვს დადგენილებით კრება განაგრძოს. თუ ვინიცობაა ამ საკითხს ვერ ამოვწურავთ, შეიძლება მისი შემდეგისთვის გადადება. ჩვენი ფრაქციის სახელით წინადადებას ვიძლევით კრება განვაგრძოთ 4 საათამდე.

პარლამენტის ქრონიკა.

საქართველოს პარლამენტის 8 ოქტომბრის სხდომაზე თავმჯდომარეობს ნ. ს. ჩხეიძე.

შემოსული კანონ-პროექტები გადაეცა კომისიებს შ. ამირეჯიბის მოხსენებით მიიღეს კანონის საბოლოო ტექსტი პენსიისა და დახმარების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია 1909 წ. 18 მარტის კანონით.

იურიდიული კომისიის სახელით მ. რუსიას შემოაქვს კანონ-პროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროსთან კოლიფიკაციური განყოფილების დაარსებას მოითხოვს. კოლიფიკაციურ განყოფილებას დაევალება სისტემაში მოყვანილ და შეთანხმებულ კანონების წიგნებათ გამოცემა. ხარჯიბის დასაფარავად საჭიროა 55.600 მან. ფინანსიური კომისიის სახელით პ. ქავთარაძე ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგია. იუსტიციის მინისტრის ამხანაგი გრ. გველესიანი საკმარისათ არა სცნობს მარტო უბრალო წიგნების გამოცემას. სოც. დემ. შეაქვთ შესწორება ამოშალონ სიტყვა „შეთანხმებული“ და კოლიფიკაციურ განყოფილებას დაევალოს კანონების შეგროვება, წესრიგში მოყვანა და პერიოდულად გამოცემა. კანონ-პროექტი ამ შესწორებით მიიღეს. ბ. ი. ბარათაშვილის მოხსენებით მიიღეს კანონების გამოქვეყნების წესრიგი.

რიგშია ათმილიონიან ფონდიდან დანახარჯის დამტკიცება და ამ ფონდის შევსება. მომხსენებელი დ. თოფურიძე განსამარტებლად ციფრებს კითხულობს რუსულად, რამაც ცხარე კამათი გამოიწვია.

ამ საკითხის განხილვის დროს შეეხნენ ჯარის ორგანიზაციის საკითხს და მოავრობას ბრალი დასდეს უმოქმედობაში. სამხედრო მინასტრმა გიორგაძემ მათ შესაფერი პასუხი გასცა.

კენჭის ყრის შემდეგ კანონ-პროექტი ათმილიონიან ფონდის შესახებ მიიღეს.

დეპეშები.

ომი.

ბერლინი, ოქტ. 8. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. სკარპთან ბრძოლა სწარმოებს. მტერი ნეუვრევლში გამაგრდა.

ბოინეს ლაშქარი. სენ-კანტენის ჩრდილოეთით ფრანგები ძლიერ შეტევებს აწარმოებდენ. ტილოასთან ჩვენ მტერი დავამარცხეთ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ელეტზე და ენზე ბრძოლაა. ბაზანკურტის და სელის შუა მტერი ძლიერ შეტევას აწარმოებს. შეტევები მოვიგერიეთ. შამპანში ნაწილობრივი ბრძოლაა.

გალვიცის ლაშქარი. ამერიკელებმა იერიში მიიტანეს ენთან, ფრონტის გარღვევის მიზნით, მაგრამ ისინი მოვიგერეთ.

ს ტ ა მ ბ უ ლ ი, ოქტომ. 8 გუშინდელმა დღემ ყველა ფრონტებზე მშვიდობიანათ ჩაიარა.

ბ ე რ ლ ი ნ ი ოქტ. 8 კამბრესთან სენ-კანტენთან, შამპანში და მაასთან ძლიერი ბრძოლაა. კამბრეს სამხრეთით და სენ-კანტენის ჩრდილოეთით მტერი მოვიგერეთ. ფრონტის ცენტრში მტერმა რამოდენიმე ადგილი დაიკავა. შამპანში და მაასზე მტერი დამარცხდა.

ვ ე ნ ა, ოქტ. 8. სერბიის საზღვარზე ჩვენმა ნაწილებმა ლესკოვაკით უკან დაიხიეს.

ვ ე ნ ა, ოქტ. 8. საღამოის სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. ტიროლის სამხრეთ ფრონტზე მტრის ინტენსიური მოქმედებაა.

უ ც ხ ო ე თ ი.

მ ო ს კ ო ვ ი, ოქტომბ. 7. ბეჭდვითი ბიუროს ცნობა. კოპენგჰაგენი; ოქტ. 5. ბულგარეთის ფრონტის მიდამოებში ცეცხლი მძვინვარებს.

ვ ე ნ ა, ოქტ. 5. დროებითი ზავის პირობები: ჯარის დემობილიზაცია, ყველა იმ ადგილების დაცლა, რომლებიც 1915 წ. იყო დაჭერილი, ბულგარეთიდან ავსტრიელებისა და გერმანელების გაძევება, ბულგარეთის ძველი ტერიტორიის ხელშეუხებლობა.

ბ ე რ ლ ი ნ ი, ოქტ. 5. ახალი მთავრობა საბოლოდ შესდგა. პირველი ნაბიჯი-ზავის წინადადება ვილსონის 14 პუნქტის მიხედვით, ბელგიის და სერბიის აღდგენა, საფრანგეთის ევაკუაცია, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების გადათვალიერება, ელზას-ლოტარინგიაზე უარის თქმა. მოკავშირებისაგან ჯერ პასუხი არ არის.

ბერლინი. გაზეთებს აკრძალული აქვთ დაბეჭდონ ლენინის წერილი და ცენტრ. აღმ. კომიტ. უკანასკნელი სხდომის ისტორიული რეზოლიუცია.

ვ ე ნ ა, ოქტ. 5. ეროვნული შუღლი უმაღლეს წერტილამდის მივიდა. ჩეხებმა და სამხ. სლოვაკებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობა მოიპოვონ, პოლონელები ავსტრიის პოლონეთის დამოუკიდებლობას თხოულობენ. გერმანელმა ნაციონალისტებმა გადაწყვიტეს თავი დაანებონ რეიხსრატს და შექმნან საკუთარი ნაციონალური საბჭო. დეზერტირებს დევნიან. არის დახვრეტის მაგალითები. უნგრეთის მუშები რევოლიუციით იმუქრებიან.

ბ ე რ ლ ი ნ ი, ოქტ. 5. ოსმალეთის მინისტრმა ჯამბოლატმა თანამდებობას თავი დაანება. რუსეთისა და ოსმალეთის შუა ბრესტის ხელშეკრულება შეცვლილია.

ვაშინგტონი. ამერიკისა და ინგლისის შუა 10 წლ. ხელშეკრულებაა.

ტავტამა და რუზველტმა პროპაგანდა დაიწყეს გერმანიაზე კონტრიბუციის დადების შესახებ.

კიევი. უკრაინისა და რუსეთის შუა მოლაპარაკება შეწყდა. უკრაინიდან ავსტრიელებისა და გერმანელების გასვლის შემდეგ, იქ პანიკაა. ემზადებიან თეთრ გვარდიის შესაქმნელათ.

ხარკოვი. დახურულ კარებში გაიხსნა რუმინიასთან მოლაპარაკება. შეთანხმებისთვის ნიადაგი არარის, ხელს უშლის ბესარაბიის საკითხი. კიეველი კადეტები ამბობენ, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლიან გამოარკვიოს ზავის პრობლემა, ბოლშევიზმი სამოქალაქო ომის სისხლით მორწყვას ეგროპას.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ქალაქის საბჭოს ანგარიშში სამწუხარო შეცდომა შეგვეპარა: წერილში ნათქვამია, ნაციონალ-დემოკრატებმა კენჭის მიცემის დროს თავი შეიკავესო,—ნამდვილათ კი 7 ოქტომბრის სხდომაზე ნაციონალ-დემოკრატებს არც ერთ საკითხის დროს თავი არ შეუკავებიათ და კენჭის ყრაში ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატების წინადადებას.

ახალი ამბები.

მთავრობაში.

სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით რუსეთის წითელ ჯვრის საზ. ლიკვიდაციის შესახებ დაადგინეს: 1) მიეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს 32000 მ. მომარაგების კომიტეტს საშუალებიდან რუსეთის „წითელი ჯვრის საზ. სალიკვიდაციოდ იმ პირობით, რომ ეს ვალი გაუნაღდდეს მომარაგების კომიტეტს წითელი ჯვრის ქონების გაყიდვით; 2) სურამის საფსიხიატორო საავადმყოფოს შენობის დამთავრების შესახებ, მოეთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრის დასკვნა მედიკო-სანიტარულ განყოფილებისა.

○ მთავრობამ მიიღო ერ. საბჭოს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი საქართველოს ღერბის შესახებ: წმ. გიორგი უდრაკონოდ.

○ მთავრობამ ცნობა მიიღო ადერბეიჯანის მთავრობისაგან, რომ ბაქოდან ნავთი უპირველესად მიეცემა საქართველოს რკინის გზას და შემდეგ მცხოვრებთ, როცა ბაქოში ჩავა მთავრობის მიერ არჩეული რწმუნებულებიო.

○ გუშინ მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას წარუდგა ქუთაისის ქართველ ებრაელთა დეპუტაცია და განუცხადა, რომ ისინი ქართველებათ სთვლიან თავის თავს და ამის გამო თვის წარმომადგენელს არ ირჩევენ ეროვნულ საბჭოში, ვინაიდან სრულ ნდობას უცხადებენ საბჭოს ქართველობის წევრებს.

○ ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკასთან მყოფი გერმანიის ელჩი გრაფი შულენბურგი.

○ სამხედრო მინისტრმა განუმარტა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ სამხედრო ბეგრიდან არ ანთავისუფლებს არც მილიციაში, არც გვარდიაში და არც ბურჟუა-რაზმში სამსახურიო.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით გაანთავისუფლეს მეტეხის ციხიდან სოლომონ პოლაკი, მიხეილ რადლისი და ლიუბლინსკი, ვინაიდან სამინისტროს ცნობით ისინი მონაწილენი არ იყვნენ იმ სპეკულიაციის წარმოებაში, რომელიც ბრალდებოდათ მათ.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება სასულიერო გიმნაზიის უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემის შესახებ, საქათალიკოსო საბჭოს წარმომადგენელ ა. ი. ნატროშვილის ხელში მილიციის უფროსმა სისრულეში მოიყვანა და მთელი სასწავლებელი გაანთავისუფლა სას. გიმნაზიის საჭიროებისათვის.

სახალხო განათლება.

○ შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით დაადგინეს მიხეილის სახელობის საავადმყოფო და საბებიო ინსტიტუტი საქართველოს უნივერსიტეტს გადაეცეს საკლინიკო სამუშაოთ.

○ სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის შენიშვნებით წიგნთ-საცავ სამკითხველოების გახსნის კანონ-პროექტის შესახებ დაადგინეს: 1) შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტი წარედგინოს საქართველოს პარლამენტს იმ სახით, როგორც ის შემუშავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, 2) კანონის ცხოვრებაში გატარება მიენდოს შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს შეთანხმებით.

ადმინისტრაცია.

○ საგანგებო რაზმმა აღმოაჩინა 10 ბალონი სოდა, 120 ფუთის წონისა, რომელიც ეკუთვნოდა ... რკინიცაძეს და მიღების ბარათი კი საბაშვილის სახელზე იყო გამოწერილი. ეს სოდა რკინის გზის განკარგულებიდან საგანგებო რაზმმა თავის განკარგულებაში გადმორიცხა.

○ მილიციის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ვაჭრებმა დაუყოვნებლივ აიღონ სავაჭრო პატენტები.

საზოგადოებანი და კრებები.

○ დღეს, 10 ოქტომ. საღამოს 7 საათზე, ქართულ-გერმანულ საზოგადოებაში შესდგება ლექცია ბ-ნ ფონ. ვენტერჰაგენისა შემდეგ თემაზე: ეკონომიური ვითარება ევროპაში ომის მიერ შექმნილ პირობებში და კავკასიის მნიშვნელობა ომის შემდეგ. ლექციას თან სდევს ბუნდოვანი სურათები.

საჭიროა, რომ ჩვენი საზოგადოება ყურადღებით მოეკიდოს ხსენებულ ლექციას.

○ შაბათს, 12 ოქტომბერს კონსერვატორიის დარბაზში გიორგი მამრაძე წაიკითხავს ლექციას: „ქართლის ბედის“ უკუღმართობა და საქართველოს ტრაღიზმი. მოხსენების შემდეგ გაიმართება ბაასი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ფრაქციათა წარმომედგენელნი. მოხსენების უმთავრესი დებულებანი (თეზისები) შემდეგ იქნება გამოცხადებული.

ვაჭრობა-მრეწველობა.

○ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთან ბაქოში დაარსდეს მისი თავჯდომარეობით საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტი შემდეგი საკითხების გადაწყვეტით 1) ამ კომიტეტში შევლენ ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის, გზათა მიმოსვლის და სასურსათო სამინისტროთა წარმომადგენელნი, აგრეთვე სახელმწიფო კონტროლიორის რწმუნებული და აგრეთვე ბაქოში მცხოვრები ქართველი ამ კომიტეტში დანიშვნით. 2) გაეგზავნოს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში რწმუნების ბარათი, რომლითაც უფლება მიეცეს მას ყოველგვარი ხელშეკრულება დასდოს ადერბეიჯანის მთავრობასთან საქართველოსთვის საჭირო საქონლის ყიდვა,-გაცვლა-გამოცვლის, ტრანზიტის და სხვა ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებზე.

ტ რ ა მ ვ ა ი.

○ ტრამვაის უმთავრეს ინჟენერად ქალაქის გამგეობამ დანიშნა ინჟენერი ა. ი. ტერხაჩატუროვი ინჟენერი კაჩგერის ალაგას, სანამ იგი დაბრუნდება გერმანიიდან, სადაც კაჩგერი გაგზავნილია ტრამვაის მანქანების ნაწილების შესაძენად.

ლტოლვილნი.

○ ბორჩალოს მაზრის ქართველ სოფლებში (ს. ყალამშია, მიჯა, ბოსლევი და სხვ.) ბევრ ახალციხელ და ჯავახელ ლტოლვილს მოუყრია თავი. არავითარი არსებობის სახსარი მათ არ მოეპოვებათ, თავს მათხოვრობით ირჩენენ. თხოულობენ დახმარებას.

ფოსტა-ტელეგრაფი.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენება და კანონ-პროექტი საქართველოს მიწაწყალზე ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის კანტორების გახსნის შესახებ მოწონებულ იქმნა და წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად.

გამოცემლობა.

○ „ალიონის“ გამოცემა ტეხნიკურ დაბრკოლების გამო შეჩერებულია დროებით.

ხოლერა.

○ უკანასკნელ დღეს ქალაქში ხოლერით არავინ არ გამხდარა ავათ. მორჩა და გამოეწერი 4, ხოლერით გარდაიცვალა 1. 8 ოქტომბერს სულ იყო 45 ხოლერიანი და 10 საეჭვო.

სხვა და სხვა ამბები.

○ სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა, საერაონო შტაბების წარმომადგენლებთან ერთად იქონია თათბირი ყოფილ თავად-აზნაურთა ბაგრატიონ-დავითაშვილისა და სხვათა კონტრ-რევოლუციონურ მოქმედების შესახებ და დაადგინა: 1) მოწონებულ იქნას მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი ასეთ მავნე ელემენტების წინააღმდეგ, 2) მოითხოვონ მათი სამართალში მიცემა კანონის მთელი სისასტიკით, 3) და განეცხადოს მთავრობას საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის სახელით, რომ მთავრობას გვარდია ენერგიულად მხარში ამოუდგება ყველა კონტრ-რევოლუციონურ ელემენტებთან შეუბრალებელ ბრძოლაში.

განცხადებები

წესდება

კავკასიის საიმპორტო და საგზაო-ტო სააქციო საზოგადოებისა.

§ 21.

უაქციოდ კუპონების გადაცემა არ შეიძლება, გარდა მიმდინარე და გასულ წლებისა. ასეთ კუპონებზედ მათ გადასაცემათ საჭირო არ არის წარწერა ან განცხადების შეტანა.

§ 22.

თუ დაიკარგა დროებითი მოწმობანი, ან სახელდებული აქციები, ან მათი კუპონები, გარდა მიმდინარე და გასულ წლების კუპონებისა, დამკარგველმა შესაფერი განცხადება უნდა შეიტანოს გამგეობაში და აღნიშნოს ნუმრები დაკარგულ აქციებისა და მოწმობებისა. გამგეობა ამას აცხადებს დამკარგველის ხარჯით, თუ დღიდგან განცხადებისა ექვსი თვის განმავლობაში დაკარგული კუპონები, აქციები ან მოწმობანი არ აღმოჩნდა, პატრონს ეძლევა წინანდელის ნუმრებით და წარწერით, რომ ისინი მიცემულია ნაცვლად დაკარგულისა. თუ დაიკარგა კუპონები სახელდებულ აქციების გასული ან მიმდინარე წლებისა, ან უსახელო აქციები, ან მათი კუპონები, გამგეობა საამისო განცხადებას არ იღებს და დამკარგველს ეკარგება უფლება დივიდენდის მიღებისა. როცა დრო დადგება უსახელო აქციებზე ახალ ფურცლებისა და კუპონების დარიგებისა, ეს კუპონები და ფურცლები ურიგდება იმათ, ვისაც ხელთ ექნება აქციები.

§ 23.

თუ დროებით მოწმობებისა ან აქციების პატრონი გარდაიცვალა და მის ქონებაზე ოპეკა დანიშნეს, ოპეკუნს საზოგადოების საქმეებში არავითარი განსაკუთრებული უფლებანი არა აქვს და სხვებსავით ემორჩილება ამ წესდების საზოგადო წესებსა და კანონებს.

III. საბჭო.

§ 24.

საზოგადოების საბჭოში ითვლება არა ნაკლებ ექვსი წევრისა, რომელთაც საზოგადო კრება აქციონერებისა ირჩევს თავის წევრთა შორის. ვადა საბჭოს წევრების სამსახურისა აღნიშნულია მე-28 §-ში. საბჭო იმყოფება ქ. ტფილისში.

შენიშვნა: საბჭოს წევრთა რაოდენობას არკვევს აქციონერთა საზოგადო კრება.

§ 25.

აქციონერთა საზოგადო კრება ირჩევს აგრეთვე ორს კანდიდატს, ეს კანდიდატები ასრულებენ საბჭოს იმ წევრის მაგივრობას, რომელიც ვადის გასვლამდე გავა საბჭოდან ან ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას. კანდიდატების არჩევის ვადა აღნიშნულია მე-28 §-ში. კანდიდატები მოვალეობის ასრულებას შეუდგებიან საარჩევნო უფროსობის მიხედვით, ხოლო თუ ერთნაირი უფროსობა ექნებათ, მაშინ საარჩევნო ხმების უმრავლესობით, ხოლო თუ თანასწორი ხმები აღმოაჩნდებათ, მაშინ არჩევანი ხდება წილის ყრით.

საბჭოს გასულ წევრის ნაცვალი კანდიდატი თავის მოვალეობას ასრულებს იმ ვადამდე, რა ვადითაც არჩეული იყო საბჭოს გასული წევრი, ხოლო არა უმეტეს იმ ვადისა, რა ვადითაც არჩეულია თვითონ კანდიდატი. სამსახურში შესულ კანდიდატს აქვს ყველა უფლებანი საბჭოს წევრისა.

§ 26.

საბჭოს წევრებსა და მათს კანდიდატებს არ შეუძლიანთ იმავე დროს იყვნენ წევრად გამგეობისა ან შეასრულონ სხვა თანამდებობა საზოგადოების საქმეებში.

§ 27.

საბჭოს წევრნი და კანდიდატები თანამდებობის შესრულების დასაწყისში მოვალენი არიან შეიტანონ საზოგადოების კასაში თითომ ორმოცდა ათი აქცია, რომელნიც კასაში ინახება და ვერავის გადაეცემა იმ დრომდის, ასანამ დამტკიცდება საზოგადო კრების მიერ ანგარიში ბალანსი იმ დროისა, როცა ეს პირნი ირიცხებოდნენ საბჭოს წევრებად ან კანდიდატებად.

ქ. ტფილისის მესამე განყოფილების ბოქაული ს. გავსოვიჩი ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 15-ს 1918 წ. დილის 10 სათზედ მესამე სამოსამართლო განყოფილების ეზოში, ტურგენევის ქუჩაზედ გაიყიდება საჯაროდ მოძრავი ქონება გარდაცვალებულის ივანე სიმონის ძის ბახირევის, რომელიც შესდგება: ტანისამოსიდგან, საცვლების და წიგნებიდგან და სხვა, დაფასებულია 671 მ. და 50 კაპ. აწერილია დაცვის წესით.

861. 1.

კავკასიის უწმინდესი და უმართებელესი სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ენკენ. 19 იქ შეიტანა თხოვნა პავლე ამრამის ძე პისარევსკიმ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, პერველ უბანში, ვარაზის ხევში, ტვერდახლებოვის სახლში, მას ცოლთან ნადეჟდა ვასილის ასულ პისარევსკისთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ დაწერილი არიან ქ. ტფილისში კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში 1911 წ. აგვისტოს 19. მთხოვნელის პ. პისარევსკის განცხადებით ნადეჟდა პისარევსკისა არა სჩანს 1911 წ. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სადცხოვრობს ნადეჟდა პისარევსკისა, ვალდებულია დაუყონებლივ წარუდგინოს სინოდალურ კონტორას ქ. ტფილისში, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან.

834. 1.

კავკასიის უწმიდესი და უმართებელესი სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ივნისის 26 იქ შეიტანა თხოვნა ელენე ივანეს ასულმა ხმელევსკისამ, რომელიც ცხოვრობს ქ. ფოთში, მის ქმართან კონსტანტინე ალბერტის ძე ხმელევსკისთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ დაწერილი არიან ბათომის ქალაქის მიხეილის ეკლესიაში 1903 წ. ივლისის 20. მთხოვნელ ე. ი. ხმელევსკის განცხადებით კონსტანტინე ხმელევსკი აღარა სჩანს 1911 წ. იანვრის 15-დან. ამ. განცხადების ძალით, ყველა ვინც იცის სადარის კონსტანტინე ხმელევსკი, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კონტორას ქ. ტფილისში, ერთი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან.

509. 3—1.

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. 16 აგვისტოს დადგენილებით საკოოპერაციო ამხანაგობათა ნუსხაში ჩარიცხულია წესდება ზემოაკეთის მომხმარებელ საზოგადოებისა „მშრომელთა შეღავათი“, რომელიც დაარსებულია ქუთაისის გუბ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ზემო-აკეთში,

457. 1.

საყოველთაოდ ცხადება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. 12—13 აგვისტოს დადგენილებით კოოპერატივთა ამხანაგობათა ნუხსაში ჩარიცხულია წესდება კულაშის მეორე მომხმარებელ საზოგაროებისა „ვარსკვლავი“, რომელიც დაარსებულია ქუთაისის გუბ. და მაზრის სოფ. კულაშში.

456. 1.

ქართული შრიფტი

მიიღება შეკვეთა საწერ-მანქანის ქართულ შრიფტზე გადაკეთებისა. საქმე სრულდება სასწრაფოდ და კარგად. შესრულებულ საქმეებისთვის მიღებულია მადლობა დაწესებულებებიდან. მიიღება აგრეთვე ყველა სისტემის საწერ მანქანის შეკეთება. მისამართი მაღაზია „გარანტია“. 859 2—1

დაკარგე დუბლიკატი № 271799 რკინის გზის მიერ მოცემული. 1 ვაგ. (№ 333068) 980 ფ. მარილის ფოთიდან გამოგზავნისა სასურსათო სამინისტროს სახელზედ. გამომგზავნელია ბ. ჯანუაშვილი. რადგანაც ეს დუბლიკატი სხვისთვის გამოსადეგარია, ამიტომ ვინც მომიტანს, ჯილდოთ მიიღებს ას თუმანს. მისამართი: ტფილისი, პუშკინის ქუჩა, პირველ ხარისხოვანი რესტორანი „საქართველო“. მოსე სილოვანის ძე თალაქვაძე. 862 3—1

ა. ლაზარევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უმაღ. დაწყ. სასწავლებლის მოწმობა № 213 და წლოვანობის მოწმობა № 541. ამ საბუთებს გაუქმებულათ თვლის.

620. 3—3.

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა სასამართლოს 1918 წლის 4 ივლისის დადგენილებით ამ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელნიც მოგების მიღების აზრით არ არიან დაარსებულნი, მე-32-№-რით ჩარიცხულია „ტფილისის სატეხნიკო ძალათა კავშირი“.

(578. 4—2)

ს. ბაკურციხეში თავს დამეცნენ ავაზაკები ტ ფულებთან და სხვა რამეებთან ერთად წამართვეს

პასპორტი

სიღნაღის მაზრის უფროსის მიერ მოცემული 1908 წ. ჩემს სახელზე. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ვაჩნაძე.

№ 853. 3—2

სიდონია მორბედაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგვია უვადო პასპორტი № 540.

(3—2)

დაკარგე პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, 2) ქალაქის მეოთხე ლომბარდის კვიტანცია (ნუმრები არ ვიცი), 3) მეტრიკა, 4) ორი ნაყიდობის სიგელი. მისამართი: არსენალის შესახვევი № 15, ილიკო სამხარაძე. საკუთარი სახლი, მე-8 კომისარიატი. 865 1—1

ს. ბაკურციხის მცხოვრები დავით იოსების ძე ვაჩნაძე ამით აცხადებს, რომ მას მოჰპარეს ივნისის 15 1918 წ. მის სახლის გაძარცვის დროს გაყრილობის და რწმუნებულობის ქაღალდები, მიცემული არჩილ და ივანე იოსების ძე ვაჩნაძეებისაგან, რის შესახებაც თავის დროზედ ეცხობა გურჯაანის რაიონის კომისარს. 864 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. 29 ივლისის დადგენილებით საკოოპერაციო ამხანაგობათა ნუსხაში ჩარიცხული, წესდება ქვალონის მოხმარებელ საზოგადოებისა „საუნჯე“, რომელიც დაარსებულია ქუთ. გუბ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ქვალონში. 452 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. აგვისტოს დადგენილებით საკოოპერაციო ამხანაგობათა ნუსხაში ჩარიცხულია წესდება მოხაშის მომხმარებელ საზოგადოებისა „სიმართლე“, რომელიც დაარსებულია ქუთ. გუბ. სენაკის მაზრა, სოფ. მოხაშში. 458 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. 29 ივლისის 9 საკოოპერაციო კავშირთა ნუსხაში ჩარიცხულია წესდება ეკის მომხმარებელ საზოგადოებისა „სინათლე“, რომელიც დაარსებულია ქუთ. გუბ. სენაკის მაზრა, სოფ. ეკაში“.

211 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის სასამართლოს 1918 წ. 30 აგვისტოს დადგენილებით საკოოპერაციო ამხანაგობის კავშირთა ნუსხაში ჩარიცხულია წესდება ნიგოითის კოოპერატიულ კავშირისა „ერთობა“, რომელიც დაარსებულია ქუთ. გუბ. ოზურგეთის მაზრის სოფ. ნიგოითში. 450 1—1

გორის მაზრის კომისარიატი ამით აცხადებს: სოფ. მეჯვრისხევის, გორის მაზრის მოქალაქე ასლან-გერი ბესლანის ძე საკაევმა განაცხადა ამ კომისარიატში, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული კავკავის საპოლიციო სამმართველოდან 1906 წ. თვე, რიცხვი, ნომერი არ ახსოვს. ეს საბუთი გაუქმებულად ითვლება. ის პირი კი, რომელიც მას იპოვის, ვალდებულია წარმოადგინოს ის გორის მაზრის კომისარიატში. 536 3—3

კავკასიის უწმიდესი და უმართებელესი სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ, 19 იქ შევიდა თხოვნა ნინო ეასილის ასულის აფანასიევისა, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, მთაწმინდის ქუჩაზე, № 12, ბარსეგოვის ბინა, მის ქმართან ვიქტორ ვასილისძე აფანასიევთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან გრადოტომსკის ხარებობის ეკლესიაში 1908 წ. მთხოვნელის განცხადებით ვიქტორ ვასილის ძე აფანასიევი არა სჩანს 1910 წლიდან. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სადცხოვრობს ვიქტორ აფანასიევი, ვალდებულია განუცხადოს კავკასიის სინოდალურ კონტორას ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან.

510. 3—3.

გორის მაზრის კომისარიატი ამით აცხადებს: სოფ. ზღუდერის, გორის მაზრის მცხოვრებმა ანდრია ბარაძიმის ძე ფილიშვილმა განაცხადა ამ კომისარიატში, რომ მან დაჰკარგა აღმასრულებელი ფურცელი, მიღებული გორის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლისაგან 1911 წელს. თვე, რიცხვი და ნომერი მას არ ახსოვს. ეს ფურცელი საბუთი იყო იმისი, რომ მან შეიძინა უძრავი ქონება იმავე სოფ. მცხოვრებიდან სოფრომ ზაქარიას ძე ალიბეგოვისაგან. ამ ფურცელის მპოვნელს კომისარიატი სთხოვს წარმოადგინოს ის კომისარიატში ან და გაუქმებულად ჩასთვალოს.

477. 3—3.

მარტიროს სულეიმანის ძე არუტინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 167, მიღებული შუშის სამაზრო სამმართველოდან 1907 წ. მარტის 16-ს.

849. 3—3.

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

ბ. ბ. მეგრაგიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 30—3.

სამსონ დიმიტრის ძე ერაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 12 აგვისტოს 1918 წ. პასპორტი მიცემული ჯავახონის (ბაქოს გუბერნია) მაზრის უფროსისგან.

852. 3—3.

იაკობ პავლოვის ასული ბარბარე მირიაკოვისა აცხადებს, რომ მან ამა წლის ენკენისთვის ბოლოში დაჰკარგა წლოვანობის მოწმობა, რომელიც მიღებული ჰქონდა მოსკოვის სასულიერო კონსისტორიიდან 1895 წ. ოქტომბრის 16. № 76083,

850. 3—3.

ველიამინოვის ქუჩა № 20, ბინა 1

იყიდება

ხალიჩები—თავრიზის, ქაშანის, ჭირმანის, სარუხის, სინასი, მუშკაბათის, გეორავანის, გერიზის, უეზდის. 9—12 საათამდე და 3—6 საათამდე. 6—804—6

ქართული საამშენებლო-სამრეწველო და სავაჭრო საქციონერული საზოგადოება „ოქროს ვერძი“

ამით აცხადებს, რომ წესდების § 50552 თანხმად ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ფოთის საერთიერთო საკრედიტო საზოგადოების შენობაში ქ. ფოთში შესდგება აქციონერების საგანგებო

საზოგადო კრება

დღის წეს-რიგში საკითხებია: 1) ვადის დანიშვნა და იმ შემდეგ საქციო შემოსატანი ფულის რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც გაწერილია დამფუძნებელ აქციონერთა შორის. 2) გამგეობის ერთი წევრის გამოცვლა (§ 40).

844 2—1 გამგეობა

განცხადება

გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 10 ღვინობისთვეს 1918 წელსა, ნაშუადღევის 12 საათზე, ქ. ტფილისში, საავტომობილო განყოფილების შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა № 8) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საავტომობილო, სამოტოციკლეტო და საველოსიპედო შინების და კამერების გასასყიდად.

ის პირნი, რომელთაც სურთ შეიძინონ ზემოდ აღნიშნული შინები და კამერები ერთად ან და ერთ-ერთი კატეგორია საავაჭრო პირობებში აღნიშნულ შინებისა, ვალდებულნი არიან ამ საგანზე ამა წლის 10 ღვინობისთვემდე შეიტანონ განცხადება, სათანადო ღერბის ნიშნებით დაკრული, საავაჭრო საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, საავტომობილო განყოფილების კანცელარიაში. განცხადებასთან ერთად შეტანილ უნდა იქმნეს იმავე თავმჯდომარის სახელზე საწინდრის სახით 15% იმ საქონლის ღირებულებისა, რომელიც სურთ შეიძინონ. უსაწინდროდ განცხადებანი განხილულნი არ იქნებიან; განცხადებაში აგრედვე უნდა იქნეს აღნიშნული: 1) სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი. 2) სასყიდლად სასურველ შინების კათეგორია.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შინების რაოდენობის და გაყიდვის პირობების შესახებ შეიძლება ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე საავტომობილო განყოფილების კანცელარიაში. 565 3—3